# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 23 აპრილი 2003 №72 (1843) | ფასი 50 თეთრი




REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — იუვენტუსი 1:2. ჯანლუიჯი ბუფონმა ძალიან ივარგა



## 95% რეინჯერსი

ზურაბ ხიზანიშვილი: ათოლ სტილს დღესაც ველაპარაკე და მითხრა, ყველაზე ნაღდი რეინჯერსიაო...

# იტალიელებმა ესპანელებს კორიდა მოუწყვეს

## ბებერმა ქალბატონმა ბარსელონას ათაშანგი შეჰყარა




REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია – ინტერი 2:1. სანახევროფინალო გოლის გამტანი კრისტიან ვიერი დაიმტვრა. სახელდახელო დიაგნოზი ასეთია: დიდი ხნით

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

**ბარსელონა 1:2დ.დ. (1:1) *იუვენტუსი* (1:1)**

0:1 ნედვედი (53), 1:1 ხავი (66), 1:2 ზალაიეტა (114)
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, ანდერსონი (მენდიეტა 61), დე ბური, რაიციგერი (ხერარდი 91), ოვერმარსი (რიკელმე 85), ხავი, მოტა, ლუის ენრიკე, კლუივერტი, საციოლა
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (ბირინდელი 46), ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (ტუდორი 83), დი ვაიო (ზალაიეტა 46)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ძამბროტა, მონტერო, დავიდსი, ლუის ენრიკე, დავიდსი, ტაკინარდი, ხერარდი, მოტა, ბუფონი
გაძევება: დავიდსი (80)
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
95 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:1 *ინტერი* (0:1)**

0:1 ვიერი (4), 1:1 აიმარი (7), 2:1 ბარახა (50)
ვალენსია: კანისარესი, რეველიერი, აიალა, მარჩენა, კარბონი (ფ. აურელიო 80), ანგულო, ბარახა, აიმარი (მისტა 84), ვისენტე, კარეუ (რუფეტე 73), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ინტერი: ტოლდო, კორდობა, გამარა, მატერაცი, პასკუალე (ადანი 46), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (ოკანი 75), კ. ძანეტი, დალმა, ვიერი (რეკობა 32), კრესპო
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
გაფრთხილება: ვიერი, პასკუალე, ბარახა, ანგულო, ტოლდო, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, მარჩენა
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
52 000 მაყურებელი

# სანტიაგო გულთმისანი

„ინტერთან" საპასუხო მატჩის წინ ვალენსიელმა მეკარე სანტიაგო კანისარესმა წაუნოსტრადამუსა: „მატჩის ბედი ჩემს საჯარიმო მოედანზე გადაწყდება. იმას ვგულისხობ, რომ მთავარია, არ გაგვიტანონ, თორემ თუნდაც ერთი გოლის გატანას ჩვენ როგორმე მოვახერხებთ. ხოლო მათ თუ გაგვიტანეს, სამი გოლი დაგვჭირდება, რისი მიღწევაც, ფაქტობრივად, არარეალურია".

ასე არ მოხდა?

„იქნებ 2:2 ვითამაშოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ" — ეს კი „იუვენტუსის" სიგარიანი მწვრთნელის, მარჩელო ლიპის ნატვრა იყო „ბარსელოსთან" თამაშის წინ.

ლიპის პროგნოზი არ გამართლდა, მაგრამ ნატვრა აუხდა.

რა გინდათ, რომ „კამპ ნოუზე" არ ყოფილიყო: ზღვარგადასული უხეშობაც და ბრწყინვალე კომბინაციებიც: ნაირფერი ბარათების ფრიალიც და ვერშენიშნული საპენალტე შეცდომები: სიმულაციაც და სისულელეებიც; იმედგაცრუებაც და თავგანწირვაც; ცხადია, ნაირფერი გოლებიც. მოკლედ, ისეთი თამაში იყო, ყურებად რომ ღირდა და დაგამახსოვრდება.

უხვმომენტიან, მაგრამ უგოლო პირველ ტაიმს პაველ ნედვედის გოლი მოჰყვა, რომელმაც „იუვენტუსის" სანახევარფინალო შანსი გააცოცხლა, ხოლო ხავის საპასუხო დამატებითი ტაიმებისა და ეგებ პენალტების სერიის სუნიც დააყენა. პენალტებამდე საქმე არ მივიდა, ოთხი წუთი დააკლდა. შეტევაში გართულ „ბარსელონას" „იუვე" კონტრშეტევაზე შემოუბრუნდა და მარსელო ზალაიეტამ ყველა ბარსელონელს, ფეხბურთელსაც და ქომაგსაც გულები დაუთუთქა.

ეს „ბარსელონას" პირველი მარცხი იყო ბოლო 17 საჩემპიონთალიგო მატჩში — პირველი და დამღუპველი. ახლა დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგა „ბარსას" გარეშე ჩატარდება. აღარ იქნება შარშანდელი ნახევარფინალის გამეორებაც — ესპანური სუპერკლასიკო. ხოლო „იუვენტუსმა" ბოლო 33 წელიწადში პირველად მოიგო ესპანეთში.

„ინტერი" ამ დღეს უფრო ნაკლები, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი დროის განმავლობაში ეცადა. აგერ უკვე 20 წელია, მილანელებს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში აღარ გაუღწევიათ.

სანტიაგო კანისარესის შიში კი ძალიან მალე ახდა, კრისტიან ვიერიმ „ვალენსიას" მეხუთე წუთზე გაუტანა. თუმცა იმავ კანისარესის ვარაუდი, სამ გოლს ვერ გავიტანთო, ფრანჩესკო ტოლდოს უბადლო თამაშის წყალობით ასრულდა. განა ძნელი წარმოსადგენია, როგორ შტურმს მოაწყობდა „ვალენსია" მას მერე, რაც ორი ბურთი გაქვითა — თამაშის დასრულებამდე ხომ მთელი 39 წუთი რჩებოდა...




ასეც ხდება: ერთმანეთის თანაგუნდელები, ლუიჯი დი ბიაჯო და ფრანჩესკო ტოლდო წაეკიდნენ

# ბარსელონა — იუვენტუსი




ტურინული სამძიმარი: პატრიკ კლუივერტს შანსი ჰქონდა, იქით მიესამძიმრებინა იტალიელებისთვის

# ვალენსია — ინტერი




ყველაფერი მართლაც კანისარესის საჯარიმოში გადაწყდა:
კრისტიან ვიერის მე-5 წუთზე გატანილმა გოლმა ნახევარფინალში „ინტერი" გაიყვანა

### ინგლისი

პრემიერლიგა XXXV ტური
ლიდსი 2:0 ფულემი

II დივიზიონი XLIV ტური
ბრისტოლი 2:0 კარდიფი

III დივიზიონი XLIV ტური
კემბრიჯი 0:0 ლინკოლნი

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა XXX ტური
შტურმი 0:3 აუსტრია

### ნორვეგია

II ტური
ბრანი 1:6 რუსენბორგი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი
ნანსი 0:0 ლორიანი

### შვედეთი

III ტური
ჰამარბი 1:1 აიკ

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

## მანჩესტერი – რეალი (1:3)

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი“. მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბარტეზი, ოში, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი, კინი, ვერონი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი | კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, ფ. კონსეისაო, ზიდანი, რონალდო, გუტი |

დისკვალიფიცირებულნი: *გარი ნევილი* (1 მატჩი), პოლ სქოულზი (1 მატჩი); *რეალი:* არავინ

## ემბლემები, ნიშნები და თილისმები




რონალდოს მანჩესტერში ასე დახვდნენ, რაული კი მადრიდში, საავადმყოფოში დარჩა

ვან ნისტელროი — მანჩესტერში ეს ჰოლანდიური გვარი, ბოლო დღეებში სულ მეტად და მეტად აჟღერდა პირზე. სააგენტო „როიტერი“ თავის ანონსს ასე იწყებს: „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის იმედს თილისმად ქცეულ რუუდ ვან ნისტელროიზე ამყარებს“. ამბობენ, რომ ვან ნისტელროი, ფეხბურთელი, რომელმაც მიმდინარე სეზონში კლუბებისა და ნაკრების შემადგენლობაში 41 გოლი გაიტანა, ის კაცია, ჯებირების განგრევა რომ შეუძლია.

თუ ვან ნისტელროი...

ვან ნისტელროიმ რომ...

ვან ნისტელროი საუცხოო ფორმაშია და ეს ფაქტია. სწორედ ჰოლანდიელმა შეუნარჩუნა ალექს ფერგიუსონის გუნდს ნახევარფინალში გასვლის იმედი და შანსი — ორი კვირის წინ მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, როდესაც ანგარიში 3:0 იყო მადრიდელთა სასარგებლოდ, მან გაიტანა გოლი, რომელიც...

მოდით, ეს წინადადება ხვალ დავასრულოთ, ერთი კი გვწამს — „რეალისა“ და „მანჩესტერის“ დავაში ილლად არაფერი გადაწყდება. და კიდევ ლამის მთელი მსოფლიო ერთხმად ამბობს, რომ ინგლისელებს ერთი გოლის გატანა მატჩის დასაწყისშივე სჭირდებათ.

„მხნეობა უნდა მოვიკრიბოთ და მოწინააღმდეგეს თვალებში შევხედოთ. აქ სხვა გზა არ არის, თუ ამას შევძლებთ, ჩვენი შანსები გაიზრდება“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

თამაშის წინ კი ცნობილია, რომ „იუნაიტედს“ დისკვალიფიცირებული ჰყავს პოლ სქოულზი და გარი ნევილი, ხოლო დაშავებულნი არიან ჯონ ოში, ფაბიენ ბარტეზი და ხუან ვერონი, მაგრამ დღეს მოედანზე სამივე რომ ვიხილოთ, არც უნდა გაგვიკვირდეს.

ზემოთ ვთქვით, ვან ნისტელროის თილისმა უწოდესო. მაშ, ნორვეგიელი ოლე გუნარ სოლსკიაერზე რაღა უნდა ითქვას? გახსოვთ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიუნხენის „ბაიერნთან“? უნდა მოგახსენოთ, რომ ალექს ფერგიუსონი თავდასხმაში სწორედ სოლსკიაერის და ვან ნისტელროის წყვილის გაყვანას აპირებს.

ხოლო „რეალს“ რაული არ ეყოლება. არადა, თუ ვინმე თავისი გუნდის თილისმა და სიმბოლოა, სწორედ 25 წლის ესპანელი გახლავთ. მას მოულოდნელად ბრმა ნაწლავის შეტევა მოუვიდა და ერთი თვით გამოაკლდა „სამეფო კლუბს“.

„ემბლემის გარეშე ვიქნებით — ამბობს მადრიდელთა გოლკიპერი იკერ კასილიასი — მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ძლიერი კლუბი მაინც გაუძლებს გამოცდას. ინგლისს ოპტიმიზმით მივუშურებით, რაულს კი მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ“.

მწვრთნელი, ვისენტე დელ ბოსკე რაულის ადგილზე, ალბათ გუტის ათამაშებს, თუმცა ფერნანდო მორიენტესი და პორტილიოც მზად არიან. სხვა საკითხია, რომ რაული მხოლოდ კარგი თავდამსხმელი არ არის. „რეალისთვის“ ის მეტია.

დაბოლოს „ოლდ ტრეფორდზე“ მატჩს ცნობილი იტალიელი მსაჯი პიერლუიჯი კოლინა გაუძღვება. მათთვის, ვისაც ნიშნებისა სწამს: კოლინა სჯიდა 1999 წლის ზემოხსენებულ ფინალს „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ბაიერნს“ შორის, თუმცა იგივე კოლინა გაუძღვა 2000 წელს „იუნაიტედისა“ და „რეალის“ დაპირისპირებას იმავ „ოლდ ტრეფორდზე“, როდესაც „რეალმა“ 3:2 გაიმარჯვა.

**ბაჩუნა ძიდია**

## მილანი – აიაქსი (0:0)

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, ბროკი, ამბროზინი, რუი კოშტა, კალაძე (ან სერჟინიო), შევჩენკო, ინძაგი | ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი, კივუ, ობრაიენი, იაკუბუ, გალაშეკი, პიენაარი, სნეიდერი, იბრაჰიმოვიჩი, ვან დერ ვაარტი |

დისკვალიფიცირებულნი: *მილანი:* ჯენარო გატუზო (1 მატჩი); *აიაქსი:* არავინ

## ანჩელოტიმ მალდინი შენიღბა

რა სჭირდება „მილანს“ და რა „აიაქსს“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასასვლელად, თავადაც მშვენივრად მოგეხსენებათ, ამიტომ ვარიანტების გათვლით თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ მთავარს მივადგებით. მთავარი კი ის გახლავთ, რომ მილანელები რჩეული ნახევარმცველების გარეშე ითამაშებენ.

ამსტერდამული მატჩის მონაწილეები ანდრეა პირლო და კლარენს ზეედორფი „ამსტერდამ არენაზე“ დაშავდნენ და მათთვის სეზონი დასრულდა, ჯენარო გატუზო კი იმავ ამსტერდამში მიღებული გაფრთხილების გამო დისკვალიფიცირებულია.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი ფეხბურთელების შეცვლას „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი შემდეგნაირად აპირებს: ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგს კრისტიან ბროკი გააკონტროლებს, ცენტრს — მანუელ რუი კოშტა და მასიმო ამბროზინი ჩაიბარებენ, ხოლო მარცხნივ ან სერჟინიო ითამაშებს ან კახა კალაძე. ეს ამბავი იმაზე იქნება დამოკიდებული, მატჩის წინ რომელი უკეთეს ფორმაში იქნება.

ზოგადად ეს სერჟინიოს ადგილია, მაგრამ ის ტრავმას იშუშებს და თუ ვერ მოიჯობინდა, ანჩელოტის ახლადმოშუშებული კალაძის გარდა სხვა არჩევანი უბრალოდ არ რჩება.

დაცვაში ბრუნდება პაოლო მალდინი, რომელსაც, მოგეხსენებათ, ამას წინათ ცხვირი გაუტეხეს, თუმცა მას დამცავი ნიღბით მოუწევს თამაში. შეტევას კი ანჩელოტი ანდრეი შევჩენკოსა და ფილიპო ინძაგის მიანდობს, ხოლო რივალდოს უკვე მერამდენედ, სათადარიგოთა სკამზე აყურყუტებს.

„მილანის“ შემადგენლობაზე სათქმელი სულ ეს არის, ამის გარდა კი შეგვიძლია დავძინოთ, რომ შაბათს „ემპოლისთან“ საშინაო მარცხმა „მილანი“ სკუდეტოსთვის ბრძოლას ჩამოაშორა და მაშასადამე, ჩემპიონთა ლიგაში უფრო სახიფათოდ აქცია. „მიზნები რამდენადმე შევცვალა — თქვა ფილიპო ინძაგიმ — სერია A-ში მოვისუსტეთ, სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგაში ჯერჯერობით პრობლემები არ შეგვქმნია და დარწმუნებული ვარ, „აიაქსსაც“ დავამარცხებთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მეტოქეს სათანადოდ არ ვაფასებთ, „აიაქსი“ ძალიან ძლიერი გუნდია.“

სხვათა შორის, შაბათს მარცხის მერე ანჩელოტის ფეხბურთელები სახლებში არ გაუშვია და დღემდე ბაზაზე ჰყავს. ასე უკეთ მოემზადებიანო.

რონალდ კუმანისთვის ყველაზე სამწუხარო ამბავი გამთამაშებელი რაფაელ ვან დერ ვაარტის ტვინის შერყევაა, თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე ძლიერად შერყევია, თამაში ვერ შეძლოს — ის სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაშია. ეს ამბავი ვან დერ ვაარტს შაბათს, „როდასთან“ მატჩისას შეემთხვა. იმავე შეხვედრისას დაშავდნენ ბრაზილიელი მაქსველი და ფინელი იარი ლიტმანენი.

ამათ გარდა მილანს გამგზავრებამდე მთლად ჯანმრთელად ვერ იყვნენ ტომაშ გალაშეკი, სტივენ პიენაარი, ჰატემ ტრაბელსი და ანდრე ბერგდოლმო. მაგრამ მათი საქმე კარგად მიდის და დღეისთვის ვინმლო მზად იყვნენ.

რონალდ კუმანმა კი, წააგებს თუ მოიგებს, სარგებელი უკვე ნახა: ჩემი ახალგაზრდა გუნდისთვის „სან სიროზე“ „მილანის“ წინააღმდეგ უმნიშვნელოვანეს მატჩში თამაში უდიდესი გამოცდილების შემძენი იქნებაო.

**ირაკლი ნინიძე**





„მილანის“ ცენტრში რუი კოშტა და მასიმო ამბროზინი გაიოჯებიან

# ომი გზაზე



ქომაგებს შორის გზაზე ატეხილი ჩხუბი პოლიციამ ასე ჩააწყნარა

## არგენტინა

### კლაუსურა

**მე-10 ტური: ბანფილდი — ველესი 2:0; ნუევა ჩიკაგო — ჩაკარიტა 3:0; ინდეპენდიენტე — ურაკანი 2:1; როსარიო — რივერ პლეიტი 0:2; ბოკა ხუნიორსი — ოლდ ბოიზი 2:0; ტალიერესი — არსენალი 1:0; ესტუდიანტესი — ხიმნასია 2:4; ლანუსი — ოლიმპო 1:0; უნიონი — კოლონი 0:0; სან ლორენსო — რასინგი 3:1**

**ამ უქმეების** კლაუსურას მეათე, ერთგვარად გადამწყვეტი ტურის ამბები მთლიანად დაჩრდილა ბუენოს აირესსა და როსარიოს შუა გზაზე მომხდარმა გულშემატკივართა ომმა, რომელშიაც ორი ქომაგი დაიღუპა. „რივერ პლეიტის“ გულშემატკივართა რვაავტობუსიანი კოლონა როსარიოს მიემგზავრებოდა, სადაც მათი გუნდი იქაურ „სენტრალს“ ეთამაშებოდა და როსარიოდან კი ბუენოს აირესს მიემგზავრებოდა და იქაური მეორე გუნდის, „ოლდ ბოიზის“ ექვსავტობუსიანი კოლონა, რომელსაც „ბოკა ხუნიორს“ — „ოლდ ბოიზის“ თამაშისთვის უნდა ეცქირა.

„შეიქმნა საშინელი ვითარება, რომელიც მკვლელობებით დასრულდა“ — თქვა პოლიციის ინსპექტორმა რობერტო გრამსუგორმა. პოლიციამ საავადმყოფოებში გაისტუმრა ათობით, ხოლო ციხეში ასობით გულშემატკივარი. ორიდან ერთი დაღუპული ამოცნობილია, ის „ოლდ ბოიზის“ 29 წლის გულშემატკივარი გამოდგა.

მკვლელობები და ომები სულაც არ არის უცხო არგენტინული ფეხბურთისთვის. შარშან, მთავრობამ ჩემპიონატიც კი შეწყვიტა სხვადასხვა ჩხუბებში მომხდარი ოთხი მკვლელობის გამო. ყოველ არგენტინულ კლუბს ჰყავს ხულიგანთა ბანდები, რომლებსაც „ბარაბრავას“ ჰქვიათ.

შარშან, ნოემბერში ამ ბარაბრავებმა ქვებით და ბოთლებით დალეწეს ბოლივიური გუნდის „ბოლივარის“ ავტობუსი ლა პლატაში, სადაც ისინი სუდამერიკანას თასის მატჩის სათამაშოდ ჩასულიყვნენ. დეკემბერში, „ბოკას“ ინჩასმა მოჰკლა „ინდეპენდიენტეს“ გულშემატკივარი, ამ უკანასკნელის აპერტურაში გაჩემპიონებიდან ერთი საათის თავზე.

ამასობაში კი მეათე ტურში წააგო „ველეს სარსფილდმა“, ხოლო „ბოკამ“ და „რივერმა“ თავიანთი თამაშები ერთნაირი ანგარიშით მოიგეს და ცხრილს ორი ლიდერი შერჩა. თუმცა, „რივერი“ ბურთებით წინაა.

**ონორიო ბუსტოს დომეკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 10 | 8 | 1 | 1 | 23:7 | 25 |
| ბოკა ხუნიორსი | 10 | 8 | 1 | 1 | 18:6 | 25 |
| ველესი | 10 | 7 | 1 | 2 | 15:7 | 22 |
| როსარიო | 10 | 5 | 3 | 2 | 20:13 | 18 |
| რასინგი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 17 |
| კოლონი | 10 | 3 | 6 | 1 | 9:6 | 15 |
| ოლიმპო | 10 | 4 | 2 | 4 | 12:10 | 14 |
| ნუევა ჩიკაგო | 10 | 4 | 2 | 4 | 16:16 | 14 |
| ხიმნასია | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | 14 |
| ოლდ ბოიზი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:14 | 13 |
| სან ლორენსო | 10 | 3 | 4 | 3 | 15:18 | 13 |
| უნიონი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:11 | 12 |
| ტალიერესი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:12 | 12 |
| ესტუდიანტესი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| ლანუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:13 | 11 |
| არსენალი | 10 | 2 | 4 | 4 | 4:8 | 10 |
| ინდეპენდიენტე | 10 | 2 | 3 | 5 | 9:17 | 9 |
| ბანფილდი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| ჩაკარიტა | 10 | 2 | 2 | 6 | 6:12 | 8 |
| ურაკანი | 10 | 0 | 3 | 7 | 7:23 | 3 |

## ბელგია

### იუპილერლიგა XXIX ტური

**შარლერუა 4:3 ლოკერენი**

1:0 და სილვა (11), 1:1 დეფაისი (19ს.კ.), 1:2 გრეტარსონი (37), 1:3 დე ბიული (53), 2:3 და სილვა (58), 3:3 დეტალი (63), 4:3 მაკე (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 29 | 25 | 1 | 3 | 91:29 | 76 |
| ანდერლეხტი | 29 | 21 | 2 | 6 | 64:29 | 65 |
| ლოკერენი | 29 | 19 | 4 | 6 | 71:41 | 61 |
| ლიერსი | 29 | 16 | 7 | 6 | 44:33 | 55 |
| სენტ ტრუიდენი | 29 | 16 | 6 | 7 | 58:37 | 54 |
| გენკი | 29 | 14 | 6 | 9 | 63:47 | 48 |
| გენტი | 29 | 15 | 2 | 12 | 50:45 | 47 |
| სტანდარდი | 29 | 13 | 7 | 9 | 48:34 | 46 |
| მონსი | 29 | 12 | 3 | 14 | 38:40 | 39 |
| მუსკრონი | 29 | 10 | 5 | 14 | 45:59 | 35 |
| ვესტერლო | 29 | 10 | 3 | 16 | 30:45 | 33 |
| ბევერენი | 29 | 10 | 2 | 17 | 45:63 | 32 |
| ლუვიე | 29 | 8 | 7 | 14 | 32:39 | 31 |
| ბეერსხოტი | 29 | 8 | 5 | 16 | 46:51 | 29 |
| ანტვერპენი | 28 | 7 | 6 | 15 | 36:49 | 27 |
| შარლერუა | 29 | 6 | 6 | 17 | 36:63 | 24 |
| ლომელი | 28 | 7 | 3 | 18 | 28:58 | 24 |
| მეხელენი | 29 | 3 | 5 | 21 | 18:81 | 14 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXIX ტური

**მაინცი 3:1 დუისბურგი**

1:0 ვორონინი (7), 2:0 კრამნი (23), 2:1 კიდელი (24), 3:1 ტიურკი (28)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 29 | 17 | 11 | 1 | 60:34 | 62 |
| ფრაიბურგი | 29 | 17 | 7 | 5 | 48:23 | 58 |
| მაინცი | 29 | 16 | 5 | 8 | 49:28 | 53 |
| აინტრახტი | 29 | 14 | 10 | 5 | 45:26 | 52 |
| ფიურტი | 29 | 12 | 11 | 6 | 44:30 | 47 |
| ტრირი | 29 | 13 | 6 | 10 | 48:38 | 45 |
| ალემანია | 29 | 11 | 9 | 9 | 47:40 | 42 |
| დუისბურგი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:38 | 39 |
| ლიუბეკი | 29 | 11 | 4 | 14 | 43:41 | 37 |
| უნიონი | 29 | 8 | 13 | 8 | 33:46 | 37 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 8 | 12 | 9 | 40:35 | 36 |
| როიტლინგენი | 29 | 10 | 6 | 13 | 35:41 | 36 |
| ობერჰაუზენი | 29 | 9 | 7 | 13 | 33:39 | 34 |
| ალენი | 29 | 8 | 6 | 15 | 38:53 | 30 |
| კარლსრუე | 29 | 6 | 11 | 12 | 26:41 | 29 |
| ზტ. პაული | 29 | 6 | 8 | 15 | 39:58 | 26 |
| ბრაუნშვაიგი | 29 | 5 | 9 | 15 | 27:47 | 24 |
| ვალდჰოფი | 29 | 5 | 6 | 18 | 28:61 | 21 |

## დანია

### სუპერლიგა

**24-ე ტური: ფარუმი — ბრონდბიუ 1:1; ორჰუსი — აკადემისკი 1:2; ესბიერგი — ვიბორგი 1:5; კოგე — სილკებორგი 1:3; მიდტიულანდი — ოდენსე 2:2; კოპენჰაგენი — ოლბორგი 0:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 24 | 12 | 7 | 5 | 34:25 | 43 |
| ბრონდბიუ | 24 | 11 | 8 | 5 | 45:25 | 41 |
| ფარუმი | 23 | 12 | 2 | 9 | 36:40 | 38 |
| მიდტიულანდი | 24 | 9 | 8 | 7 | 36:30 | 35 |
| ესბიერგი | 24 | 9 | 7 | 8 | 47:46 | 34 |
| ოდენსე | 24 | 8 | 9 | 7 | 39:33 | 33 |
| ოლბორგი | 24 | 10 | 3 | 11 | 31:33 | 33 |
| აკადემისკი | 24 | 7 | 8 | 9 | 31:33 | 29 |
| სილკებორგი | 24 | 7 | 7 | 10 | 33:35 | 28 |
| ვიბორგი | 24 | 6 | 8 | 10 | 38:43 | 26 |
| ორჰუსი | 23 | 7 | 5 | 11 | 33:45 | 26 |
| კოგე | 24 | 8 | 2 | 14 | 37:52 | 26 |

## ნორვეგია

**მე-2 ტური: ბოდიო გლიმტი — ლინი 3:2; ბრანი — სოგნდალი 0:1; მოლდე — ლილესტრიომი 4:0; სტაბეკი — ოდ გრენლანდი 4:1; ტრომსიო — ვიკინგი 2:2; ვოლერენგა — ალესუნდი 3:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოგნდალი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ვიკინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ტრომსიო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| მოლდე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| სტაბეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ვოლერენგა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| რუსენბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბოდიო გლიმტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ლილესტრიომი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| ბრანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ალესუნდი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ბრინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## პორტუგალია

### პირველი ლიგა XXVIII ტური

**გიმარაეში 1:0 ბელენენსეში**

1:0 ჟუჟა სანტუში (69)

**ბენფიკა 2:1 ვარზიმი**

1:0 არჟელი (42), 1:1 რუი ბაიაუ (55), 2:1 ტიაგუ მენდეში (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 28 | 24 | 3 | 1 | 61:21 | 75 |
| ბენფიკა | 28 | 19 | 5 | 4 | 59:21 | 62 |
| სპორტინგი | 28 | 16 | 5 | 7 | 44:28 | 53 |
| გიმარაეში | 28 | 13 | 7 | 8 | 43:34 | 46 |
| ჟილ ვისენტე | 28 | 13 | 4 | 11 | 38:38 | 43 |
| ლეირია | 28 | 11 | 7 | 10 | 39:38 | 40 |
| ბელენენსეში | 28 | 9 | 8 | 11 | 36:39 | 35 |
| ნასიონალი | 28 | 8 | 10 | 10 | 33:37 | 34 |
| ფერეირა | 28 | 9 | 7 | 12 | 29:39 | 34 |
| მარიტიმუ | 28 | 10 | 4 | 14 | 30:43 | 34 |
| ბოავიშტა | 28 | 7 | 11 | 10 | 26:28 | 32 |
| ვარზიმი | 28 | 9 | 5 | 14 | 31:37 | 32 |
| ბრაგა | 28 | 7 | 11 | 10 | 25:38 | 32 |
| მორეირენსე | 28 | 7 | 10 | 11 | 34:37 | 31 |
| სანტა კლარა | 28 | 6 | 9 | 13 | 33:44 | 27 |
| აკადემიკა | 28 | 6 | 9 | 13 | 30:44 | 27 |
| სეტუბალი | 28 | 5 | 11 | 12 | 31:41 | 26 |
| ბეირა მარი | 28 | 6 | 8 | 14 | 32:47 | 26 |

# ოლივეირა მაინც არ უყვართ

## ბრაზილია

**მე-5 ტური: ფლამენგო — სანტოსი 0:2; სან კაეტანო — გრემიო 1:1; ბაია — ატლ. მინეირო 2:4; სან პაულუ — ვასკუ და გამა 3:1; ინტერნასიონალი — კორინთიანსი 2:1; პონტე პრეტა — პაისანდუ 4:4; ფორტალეზა — ატლ. პარანენსე 1:0; ჟუვენტუდე — ვიტორია 1:1; კრისიუმა — გუარანი 1:0; კრუზეირო — გოიასი 4:1; ფლუმინენსე — პარანა 0:0; კურიტიბა — ფიგეირენსე 1:0**

„სან პაულუს“ ამოჩემებულ მწვრთნელს, ოსვალდო ოლივეირას კვლავ უსტვინეს საკუთარმა გულშემატკივრებმა, იმის მიუხედავად, რომ გუნდმა 3:1 მოუგო „ვასკუ და გამას“ და ეს იყო ზედიზედ მეოთხე მოგება.

სანპაულელთა მეკარემ როჟერიუ სენიმ საჯარიმო დარტყმით გაიტანა ბურთი ვასკუელთა კარში და ეს იყო ამ მეკარის 27-ე გოლი კარიერაში. საერთოდ, ოლივეირას გუნდმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა მას შემდეგ, რაც საერთობრაზილიური პირველობა დაიწყო. თამაშის ვარსკვლავი ლუიშ ფაბიანუ გახლდათ, რომელმაც 29-ე წუთზე თავად გაიტანა, ათ წუთში კი სოუზას გადასცა საგოლე ბურთი.

„ვასკუმ“ ერთი გოლი მარსელინიო კარიოკას საფირმო ჯარიმით გაქვითა შესვენების შემდეგ, ლუიშ ფაბიანუმ კი პენალტი გააფუჭა. მერე როჟერიუმ საჯარიმო დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და როჟერიუს კოლეგამ, ფაბიუმ ველარაფერი გააწყო.

ამ გამარჯვებით „სან პაულუ“ მეექვსე ადგილამდე ამაღლდა, მაგრამ ამ ამბავმა მაინც ვერ გაფანტა შავი ღრუბლები საბრალო ოსვალდო ოლივეირას თავზე, რომელსაც გასული აგვისტოდან ყოველი კვირის ბოლოს მოხსნით ემუქრებიან. კლუბის ყველაზე აგრესიულ გულშემატკივრებს არ უყვართ ოლივეირა, რომელიც ცნობილია, როგორც ფეხბურთის უპირველესი ჯენტლმენი ბრაზილიაში. მას დაცვით სტილს უწოდებენ.

ოთხ დღეში ზედიზედ მეორედ მოიგო შარშანდელმა ჩემპიონმა „სანტოსმაც“, რომელსაც ასევე ძალიან გაუჭირდა ჩემპიონატის კარგად დაწყება. ამჯერად „სანტოსმა“ „მარაკანაზე“ დასცა „ფლამენგო“. პირველი გოლი მცველმა ლეომ გაიტანა დიეგუსთან გათამაშებული კედლის შემდეგ. „მენგომ“ პერიოდული შტურმებით გამოიდო თავი, მაგრამ მე-60 წუთზე ელანიომ მასპინძელთა იმედები მეორე გოლით მოკლა. მოგებულთა მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ, როგორც იქნა, გაიცინა: „კარგად ვითამაშეთ. მათ იგრძნეს, რომ ჩვენი ფეხბურთელების ნიჭიერებას სრულად ვიყენებდით“.

შეჯიბრს კი კვლავაც ლიდერობს წაუგებელი „კრუზეირო“, რომელმაც „გოიასი“ დაამარცხა 4:1. ორ-ორი გოლი ალექსმა და დეფიდმა გაიტანეს. ეს უკანასკნელი ხუთ თამაშში 8 გოლით მეგოლეთა სიას უდგას სათავეში. „კრუზეირო“ მხოლოდ ბურთების სხვაობით უსწრებს „ატლეტიკო მინეიროს“, რომელმაც „ბაია“ დაამარცხა 4:2.

**ლუჟაუ დუ მოზკაუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 5 | 4 | 1 | 0 | 17:8 | 13 |
| ატლ. მინეირო | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 13 |
| ინტერნასიონალი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 12 |
| პარანა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| სანტოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 |
| სან პაულუ | 5 | 2 | 2 | 1 | 11:9 | 8 |
| ფლამენგო | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| კრისიუმა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| გრემიო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ვიტორია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| სან კაეტანო | 5 | 1 | 4 | 0 | 8:7 | 7 |
| გუარანი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:9 | 6 |
| ფორტალეზა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| კორინთიანსი | 5 | 1 | 2 | 2 | 12:11 | 5 |
| პონტე პრეტა | 5 | 1 | 3 | 1 | 7:9 | 5 |
| ჟუვენტუდე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ფლუმინენსე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| პაისანდუ | 5 | 1 | 2 | 2 | 5:15 | 5 |
| კურიტიბა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ვასკუ და გამა | 5 | 1 | 1 | 3 | 12:15 | 4 |
| ბაია | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| ატლ. პარანენსე | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ფიგეირენსე | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| გოიასი | 5 | 0 | 2 | 3 | 9:16 | 2 |

*„პონტე პრეტას“ დაკლებული აქვს 1 ქულა*



ფლამენგო — სანტოსი 0:2. სტუმრების მცველმა ლეომ (№3) დაიწყინაურა


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდი
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი



აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
სადეთადური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის
მაღაზია სალონი WWW.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. (ყოფ. კამო) № 2

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# ვინ და რამდენი?

*ინგლისური პრემიერლიგის გასრულებამდე სამი ტური და ერთიც გადადებული მატჩი დარჩა. ჰოდა, რაკი სეზონის დასრულებამდე ძალიან ცოტა დროლაა, გარკვეული კი თითქმის არაფერია, დარჩენილი მატჩების განრიგს წარმოგიდგენთ და თან ვარიანტები გავარჩიოთ.*



რობერ პირესის „არსენალი“ და რუუდ ვან ნისტელროოის „მანჩესტერი“ საჩემპიონო ბრძოლას აგრძელებენ



კლაუდიო რანიერის „ჩელსი“...



... ბობი რობსონის „ნიუკასლი“ და ...



... ჟერარ ულიეს „ლივერპული“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის საგზურს ეცილებიან

გასარკვევი დარჩა:

1. ვინ გახდება ჩემპიონი
2. „მანჩესტერის“ და „არსენალის“ გარდა ვინ ითამაშებს გაისად ჩემპიონთა ლიგაში
3. რამდენი გუნდი გავა ჩემპიონატიდან უეფას თასზე
4. ვინ გავა უეფას თასზე
5. ვინ იქნება მესამე გავარდნილი გუნდი

რიგითობის დაცვით მოვყვეთ.

ჩემპიონობის შანსი „მანჩესტერს“ და „არსენალს“ აქვთ.

დღეისთვის „მანჩესტერი“ სამი ქულით უსწრებს „მეთოფეებს“, მაგრამ ერთი თამაშით მეტიც აქვს ჩატარებული, ასე რომ, დაკარგული ქულებით ისინი თანაბრად არიან.

„მანჩესტერის“ განრიგი ასეთია: სტუმრად „ტოტენჰემი“, შინ „ჩარლტონი“, სტუმრად „ევერტონი“.

„არსენალის“ განრიგი: სტუმრად „ბოლტონი“, შინ ლიდსი“, შინ „საუთჰემპტონი“ (გადადებული მატჩი), სტუმრად „სანდერლენდი“.

„მანჩესტერის“ მეტოქეთაგან პირველ ორს სატურნირო მოტივაცია დაკარგული აქვს, ცხრილის შუაში არიან გაჩხერილები და არც ვარდებიან, მაგრამ ვერც ევროსათასო ადგილებისთვის იბრძვიან. „ევერტონს“ კი ჯერჯერობით აქვს უეფას თასზე მოხვედრის შანსი, მაგრამ ბოლო ტურის წინაც ექნება თუ არა, სხვა საკითხია. ერთი სიტყვით, „მანჩესტერ იუნაიტედს“ სამივე თამაშის მოგების ძალიან დიდი შანსი აქვს.

„არსენალის“ მეტოქეთაგან „საუთჰემპტონს“ არაფერი უნდა, „სანდერლენდი“ უკვე გავარდნილია, „ბოლტონს“ და „ლიდსსაც“ სულ ცოტა სჭირდებათ თავის სამშვიდობოს დასაგულებლად და „არსენალთან“ რომც წააგონ, არაფერს კარგავენ, დანარჩენ მატჩებში საჭირო ქულებს უთუოდ მოაგროვებენ. ერთი სიტყვით, „არსენალსაც“ ყველა თამაშის მოგების ძალიან კარგი შანსი აქვს.

ამ შემთხვევაში, თუ „მანჩესტერი“ და „არსენალი“ თანაბარ ქულებს დააგროვებენ, ბურთების შეფარდებას დაითვლიან, რომლითაც დღეისთვის ლონდონელებს უმნიშვნელო უპირატესობა აქვთ, კონკურენტს ერთით მეტი საღდოთი უგებენ. ხოლო თუ აქაც თანაფარდობა იქნა, მაშინ გატანილი ბურთები დაითვლება. ამითაც „არსენალი“ იგებს, ჯერჯერობით ოთხით მეტი აქვს გატანილი. ხოლო ამაშიაც თუ თანაბრად იქნებიან, ჩემპიონის გამოსავლენად „ოქროს მატჩი“ დაინიშნება.

მეორე კითხვაზე გადავიდეთ: ვინ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში. „მანჩესტერი“ და „არსენალი“ რომ ითამაშებენ, მტკიცება არ უნდა, დარჩენილი ორი ადგილისთვის კი სამი გუნდი — „ჩელსი“, „ნიუკასლი“ და „ლივერპული“ იბრძვის. თეორიული შანსი მეშვიდეადგილოსან „ბლექბერნსაც“ აქვს, მაგრამ „ბლექბერნისა“ და „ევერტონის“ შანსები იმდენად მოკრძალებულია, რომ სალაპარაკოდ არც ღირს.

მოქიშპე სამეულის განრიგს გადავხედოთ.

„ჩელსი“: შინ, „ფულემი“, სტუმრად „ვესტ ჰემი“, შინ „ლივერპული“.

„ნიუკასლი“: სტუმრად „სანდერლენდი“, შინ „ბირმინგემი“, სტუმრად „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“

„ლივერპული“: სტუმრად „ვესტ ბრომვიჩი“, შინ „მანჩესტერ სიტი“, სტუმრად „ჩელსი“.

ბოლო ტურის „ჩელსი“ — „ლივერპული“ ერთი წუთით დავივიწყოთ და ვთქვათ, რომ სამეულის ჩამოთვლილ მეტოქეთაგან „ვესტ ჰემის“ გარდა არავის არაფერი უნდა და საფიქრებელია, რომ არც წყალწაღებული და მენეჯერისთვის ინფარქტშეყრილი „ჩაქუჩები“ ივარგებენ „ჩელსის“ მძლეველებად. „ნიუკასლს“ სულ მთლად გადასარევი კალენდარი აქვს — ორი უკვე გავარდნილი გუნდი და ერთიც ცხრილის შუაში საიმედოდ გამოკეტილი.

ყოველივე ეს მყარ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ნიუკასლი“ უთუოდ სალიგო ოთხეულში მოხვდება, ერთი დარჩენილი ადგილის ბედი კი „ჩელსი“ — ლივერპულის“ შეხვედრაში გადაწყდება.

მესამე კითხვა: რამდენი გუნდი გავა ჩემპიონატიდან უეფას თასზე.

ინგლისს ამ შეჯიბრებაზე სამი გუნდი ჰყავს. ამათგან ერთი ლიგის თასის მფლობელი, მეორე ასოციაციის თასის მფლობელი, მესამე კი ჩემპიონატის მეხუთეადგილოსანი. ახლა რა ხდება: ლიგის თასი „ლივერპულმა“ მოიგო, მაგრამ ის ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ იბრძვის. ასოციაციის თასის ფინალში „არსენალი“ და „საუთჰემპტონი“ თამაშობენ და შედეგის მიუხედავად უეფას თასზე „საუთჰემპტონი“ გავა, რაკი „არსენალი“ ლიგაში ითამაშებს. მაგრამ სამხრეთელები ცხრილში ძალიან დაბლა არიან და ალბათ იქვე დარჩებიან. საბოლოოდ მივიღეთ, რომ თუ „ლივერპული“ ლიგაში გაძვრა, უეფას თასზე „საუთჰემპტონის“ გარდა მეხუთე და მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ. ხოლო თუ „ლივერპული“ ოთხეულს მიღმა დარჩა, უეფას თასზე ჩემპიონატიდან ერთი გუნდი ითამაშებს.

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უეფას თასის ერთი მონაწილე „ჩელსის“, „ნიუკასლისა“ და „ლივერპულს“ შორის უსუსტესი გუნდი იქნება, „საუთჰემპტონზე“ უკვე მოგახსენეთ, მესამეობის საუკეთესო შანსი კი ჯერჯერობით „ევერტონს“ აქვს და მეორე ლივერპულულ გუნდს ვინმე თუ შეეცილება, ისევ „ბლექბერნ როვერსი“ — ახლა მათ შორის სხვაობა სამი ქულაა.

„ევერტონის“ მეტოქეები „ასტონ ვილა“, „ფულემი“ და „მანჩესტერი“ არიან. „ევერტონი“ — „მანჩესტერი“ ზემოთაც ვახსენეთ — „ევერტონი“ ალბათ წააგებს, სამაგიეროდ, „ვილას“ და „ფულემის“ ძლევა წესით არ უნდა გაუჭირდეს. აქედან კი გამოდის, რომ ევერტონელთა გადასასწრებად „ბლექბერნს“ დარჩენილი სამივე მატჩის მოგება მართებს.

„ბლექბერნი“ ხვდება: სტუმრად „ლიდსს“, შინ „ვესტ ბრომვიჩს“ და სტუმრად „ტოტენჰემს“. ცხადია, რომ კალენდრის თვალსაზრისით უპირატესობა „ევერტონის“ მხარესაა და უეფას თასზეც ალბათ ის გავა.

გავარდნილთაგან ორი გუნდი უკვე ცნობილია: „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ და „სანდერლენდი“. ერთი გავარდნილის ვინაობა ჯერ უცნობია.

გავარდნის უმთავრესი კანდიდატი „ვესტ ჰემია“. კი, გავარდნის თეორიული შანსი „ლიდსს“, „ბოლტონს“, „ფულემს“, „ასტონ ვილას“ და „ბირმინგემსაც“ არ დაუკარგავთ, მაგრამ საეჭვოა, „ვესტ ჰემს“ რამე ეშველოს.

ლონდონელები დარჩენილ ტურებში ორ მატჩს სტუმრად თამაშობენ, „მანჩესტერ სიტისთან“ და „ბირმინგემთან“, შინ კი „ჩელსის“ ხვდებიან. რამდენი ქულის აღების იმედი უნდა ჰქონდეთ? ჰა-ჰა, ოთხის. ეს კი, ცხრილს თუ ჩახედავთ, აღმოაჩენთ, რომ საკმარისი ძნელად თუ იქნება.

**ირაკლი ნინიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 35 | 22 | 8 | 5 | 66:32 | 34 | 74 | 18 | 15 | 2 | 1 | 38:11 | 27 | 47 | 17 | 7 | 6 | 4 | 28:21 | 7 | 27 |
| 2 არსენალი | 34 | 21 | 8 | 5 | 71:36 | 35 | 71 | 17 | 14 | 2 | 1 | 39:16 | 23 | 44 | 17 | 7 | 6 | 4 | 32:20 | 12 | 27 |
| 3 ჩელსი | 35 | 18 | 9 | 8 | 65:35 | 30 | 63 | 17 | 11 | 4 | 2 | 38:13 | 25 | 37 | 18 | 7 | 5 | 6 | 27:22 | 5 | 26 |
| 4 ნიუკასლი | 35 | 19 | 5 | 11 | 59:46 | 13 | 62 | 18 | 14 | 2 | 2 | 35:17 | 18 | 44 | 17 | 5 | 3 | 9 | 24:29 | -5 | 18 |
| 5 ლივერპული | 35 | 17 | 10 | 8 | 53:37 | 16 | 61 | 18 | 9 | 8 | 1 | 29:14 | 15 | 35 | 17 | 8 | 2 | 7 | 24:23 | 1 | 26 |
| 6 ევერტონი | 35 | 16 | 8 | 11 | 45:44 | 1 | 56 | 17 | 10 | 5 | 2 | 25:16 | 9 | 35 | 18 | 6 | 3 | 9 | 20:28 | -8 | 21 |
| 7 ბლექბერნი | 35 | 14 | 11 | 10 | 44:40 | 4 | 53 | 18 | 9 | 6 | 3 | 23:14 | 9 | 33 | 17 | 5 | 5 | 7 | 21:26 | -5 | 20 |
| 8 ტოტენჰემი | 35 | 14 | 8 | 13 | 50:51 | -1 | 50 | 17 | 9 | 4 | 4 | 30:23 | 7 | 31 | 18 | 5 | 4 | 9 | 20:28 | -8 | 19 |
| 9 საუთჰემპტონი | 34 | 12 | 12 | 10 | 40:38 | 2 | 48 | 18 | 9 | 7 | 2 | 25:16 | 9 | 34 | 16 | 3 | 5 | 8 | 15:22 | -7 | 14 |
| 10 სიტი | 35 | 14 | 6 | 15 | 45:51 | -6 | 48 | 17 | 9 | 2 | 6 | 28:24 | 4 | 29 | 18 | 5 | 4 | 9 | 17:27 | -10 | 19 |
| 11 მიდლსბრო | 35 | 12 | 10 | 13 | 42:38 | 4 | 46 | 18 | 9 | 7 | 2 | 31:20 | 11 | 34 | 17 | 3 | 3 | 11 | 11:18 | -7 | 12 |
| 12 ჩარლტონი | 35 | 13 | 7 | 15 | 42:50 | -8 | 46 | 17 | 7 | 3 | 7 | 24:28 | -4 | 24 | 18 | 6 | 4 | 8 | 18:22 | -4 | 22 |
| 13 ბირმინგემი | 35 | 12 | 8 | 15 | 36:45 | -9 | 44 | 17 | 7 | 4 | 6 | 20:21 | -1 | 25 | 18 | 5 | 4 | 9 | 16:24 | -8 | 19 |
| 14 ასტონ ვილა | 35 | 11 | 9 | 15 | 39:42 | -3 | 42 | 18 | 10 | 2 | 6 | 24:14 | 10 | 32 | 17 | 1 | 7 | 9 | 15:28 | -13 | 10 |
| 15 ფულემი | 34 | 11 | 8 | 15 | 37:47 | -10 | 41 | 18 | 10 | 3 | 5 | 24:18 | 6 | 33 | 16 | 1 | 5 | 10 | 13:29 | -16 | 8 |
| 16 ბოლტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 36:48 | -12 | 39 | 17 | 6 | 7 | 4 | 22:21 | 1 | 25 | 18 | 3 | 5 | 10 | 14:27 | -13 | 14 |
| 17 ლიდსი | 34 | 11 | 5 | 18 | 48:51 | -3 | 38 | 16 | 5 | 3 | 8 | 18:22 | -4 | 18 | 18 | 6 | 2 | 10 | 30:29 | 1 | 20 |
| 18 ვესტ ჰემი | 35 | 8 | 11 | 16 | 38:57 | -19 | 35 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:24 | -4 | 19 | 17 | 4 | 4 | 9 | 18:33 | -15 | 16 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 35 | 6 | 6 | 23 | 26:56 | -30 | 24 | 17 | 3 | 4 | 10 | 15:26 | -11 | 13 | 18 | 3 | 2 | 13 | 11:30 | -19 | 11 |
| 20 სანდერლენდი | 35 | 4 | 7 | 24 | 21:59 | -38 | 19 | 17 | 3 | 2 | 12 | 11:26 | -15 | 11 | 18 | 1 | 5 | 12 | 10:33 | -23 | 8 |

## ინგლისური პრემიერლიგის დარჩენილი მატჩები

### 36-ე ტური

26 აპრილი

ბოლტონი – არსენალი
ბირმინგემი – მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი – ლივერპული
ჩარლტონი – საუთჰემპტონი
ჩელსი – ფულემი
ევერტონი – ასტონ ვილა
ლიდსი – ბლექბერნი
სანდერლენდი – ნიუკასლი

27 აპრილი

სიტი – ვესტ ჰემი
ტოტენჰემი – მანჩესტერი

### 37-ე ტური

3 მაისი

მანჩესტერი – ჩარლტონი
ვესტ ჰემი – ჩელსი
ასტონ ვილა – სანდერლენდი
ბლექბერნი – ვესტ ბრომვიჩი
ფულემი – ევერტონი
ლივერპული – სიტი
მიდლსბრო – ტოტენჰემი
ნიუკასლი – ბირმინგემი
საუთჰემპტონი – ბოლტონი

4 მაისი

არსენალი – ლიდსი

### გადადებული მატჩი

7 მაისი

არსენალი – საუთჰემპტონი

### 38-ე ტური

11 მაისი

ბირმინგემი – ვესტ ჰემი
ვესტ ბრომვიჩი – ნიუკასლი
ბოლტონი – მიდლსბრო
ჩარლტონი – ფულემი
ჩელსი – ლივერპული
ევერტონი – მანჩესტერი
ლიდსი – ასტონ ვილა
სიტი – საუთჰემპტონი
სანდერლენდი – არსენალი
ტოტენჰემი – ბლექბერნი

*ამერიკაში, მაიამის ლაჟვარდოვანი ცის მცხუნვარე მზეს მიფიცხებულ შტეფან ეფენბერგს ამასწინათ მობილური ტელეფონი აუწკრიალდა. შტეფანს ყატარის დედაქალაქ დოჰადან ქვეყნის სულთნის, ემირ ჰამად ბინ ხალიფა ალ-ტჰანის საფეხბურთო მრჩეველმა, მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა ფეხბურთელმა როლანდ გრაჰამერმა დაურეკა და ის, რაც ბოლო დროს უბრალოდ ჭორად დადიოდა, ოფიციალურად შესთავაზა.*

# ყატარული ცდუნება
## ეფე 8 მაისს გვაჩვენებს




„ეფეს“ ყატარელი შეიხები ეპატიჟებიან, იქ ჩასვლის სანაცვლოდ კი აურაცხელ ფულს, ფუფუნებით ცხოვრებას და დიდებას ჰპირდებიან. გრაჰამერის წინადადება იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა, ფეხბურთელს ესღა ამოხდა: „ოო, ძალიან საინტერესოა!“

სუფთა 2,5 მილიონი დოლარი, სახლი, მანქანა, თვითმფრინავის უფასო ბილეთები და სხვა — ყოველივე ამას „ეფე“ ერთი სეზონის სანაცვლოდ მიიღებს. სუფთა 2,5 მილიონში, თავადაც მიხვდებოდით, გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხა იგულისხმება და არა ნავთობში ამოვლებას გადარჩენილი კუპიურები. ასევე აღსანიშნავია, რომ კონტრაქტი 1+1 პრინციპით გაფორმდება, ანუ ერთი წლის მერე, ორმხრივი სურვილის შემთხვევაში, იმავე პირობებით გაგრძელდება.

„ჩვენი წინადადებები იმდენად მაცდუნებელია, მასზე უარის თქმა ყველას უჭირს“ — აღნიშნავს გრაჰამერი. ჰოდა, „ეფე“ რაღა გამონაკლისი იქნებოდა? ამიტომაც შეხვედრის თარიღ-ადგილიც დაითქვა: 23 აპრილი, მიუნხენი! თუ ყველაფერი კარგად იქნა, მეორე დღეს გრაჰამერი და ეფენბერგი ყატარში ერთად გაფრინდებიან, რათა მიუნხენში სიტყვად ნათქვამი, დოჰაში ქაღალდზე გადაიტანონ და ხელმოწერით დაამშვენონ.

ეფენბერგს მარტო შემოსავლებზე როდი მოუწევს გრაჰამერთან გასაუბრება. ამ დღეს იგი თანამემამულისგან სხვა ამბებსაც შეიტყობს. მათ შორის იმასაც, რომ არაბულ ფულს ევროპაში ბევრი შენატრის და ზოგს ხელის მოსათბობად სპეციალური კანტორებიც კი შეუქმნია. მაგალითად, შვეიცარიელ როლანდ კლაინს სპეციალური სამენეჯერო ბიურო აქვს და ფეხბურთელებს ყატარში სათამაშოდ გაშვებას სთავაზობს, საქმის მოკვარახჭინების შემთხვევაში კი „მოკრძალებულ“ გასამრჯელოს, „სულ რაღაც“ 625 ათას დოლარს ითხოვს. გარდა ამისა, ვინც ამ ფირმის მეშვეობით წავა ყატარში სათამაშოდ, მას ბოლო მომენტამდე არ ეცოდინება, რომელ გუნდში მოუწევს თამაში, რადგან კლაინის ფირმას მხოლოდ ქვეყნის საფეხბურთო კავშირთან აქვს პარტნიორული ურთიერთობა. აღსანიშნავია, რომ კავშირი თავადაც ყადულობს სახელოვან ფეხბურთელებს და მერე კლუბებში ანაწილებს, რითაც ხელს უწყობს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას.

ეფენბერგს კი თავისი ღირსება არასოდეს მისცემს იმის უფლებას, თავი კავშირს მიყიდოს და მერე კავშირის სურვილზე იაროს, სად და როდის ითამაშოს.

„ეფე“ სხვა ინფორმაციებსაც მიიღებს, კერძოდ, იმას, რომ ყატარში სულ 630 ათასი მოსახლეა, ქვეყანა სიმდიდრის მხრივ მსოფლიოს პირველ ათეულშია, გერმანიიდან ყატარამდე ფრენა 6,5 საათი გრძელდება, ყატარში ქალები ჩადრებით დადიან და მათ უცხო მამაკაცებთან საუბარი ეკრძალებათ, გათხოვებისას კი სუფთა ფულად მინიმუმ 40 ათასი დოლარი უნდა მიიტანონ მზითვად. ფეხბურთელი ასევე გაიგებს, რომ ქვეყანაში, რომლის დიდი ნაწილიც გაუდაბნოებულია, უამრავი ევროპული სკოლა, ევროპული რესტორანი და გასართობია, თუმცა ალკოჰოლიანი სასმელის შეძენა მხოლოდ სასტუმროშია შესაძლებელი. და კიდევ, „ეფე“ ერთ ცხელ-ცხელ ამბავსაც მოისმენს, კერძოდ, რომარიოს ყატარიდან გაგდების ისტორიას. 27 თებერვალს რომარიო შეიხებმა დიდი პატივით მიიღეს თავიანთ ქვეყანაში, ჩასვლისთანავე 1,3 მილიონი დოლარი აჩუქეს, ხელფასად თვეში 300 ათასი დაუნიშნეს, ბრაზილიიდან პირადი მზარეული ჩამოუყვანეს, მთელ ოჯახს უფასო ფრენის უფლება მისცეს და ასე შემდეგ. და რა მიიღეს შეიხებმა სანაცვლოდ?

რომარიო მინდორზე ხშირად ხელებჩამოშვებული იდგა და სირბილი ეზარებოდა, გარდა ამისა სამშობლოში ყატარზე ცინიკურ განცხადებებს აკეთებდა და შედეგიც შესაფერი მოიმკო: შეიხების მოთმინების ფიალა აივსო და რომარიოც დაითხოვეს.

ჰო, გრაჰამერი ამას რომ მოუყვება „ეფეს“, იმასაც დაუმატებს, შეიხებს აურაცხელი ფული კი აქვთ, მაგრამ ფულის გაცემა დიდად არ უყვართ და თუ რამეს გასცემენ, შესაბამისადაც, მოითხოვენო. თუმცა როგორც ამბობენ, ყატარი ფეხბურთელებისთვისაც კი სამოთხეა, რადგან იქაურ ჩემპიონატში სულ ათი გუნდია, კალენდარი არც ისე გადატვირთულია, ვარჯიში კი მხოლოდ ერთჯერადი.

ასე რომ, 23 აპრილს ბევრი რამ გაირკვევა. მანამდე კი ეფენბერგი, როგორც აღვნიშნეთ, ამერიკაშია. იქ იგი თავის მეგობარ კლაუდია შტრუნცთან ერთად გაემგზავრა. შტეფანი ხშირად დადის თავისი შვილების სანახავად, რომლებიც დედასთან ერთად მახლობლად ცხოვრობენ. კლაუდია, შტეფანი და მისი ექსმეუღლე მარტინა თურმე მალი-მალ ერთადაც ვახშმობენ. ცალკე „ეფე“ და მარტინაც ხშირად განმარტოვდებიან-ხოლმე და როგორც ამბობენ, თავიანთი შვილების მომავალზე საუბრობენ. კლაუდია დარწმუნებულია, რომ განმარტოებული წყვილი სხვა რამით არაა დაკავებული და მხოლოდ შვილებზე ფიქრობენ.

ისე, ცნობისთვის, „ეფე“ კიდევ ერთი სკანდალისთვის ემზადება. 8 მაისს მისი ბიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია მოეწყობა. „მე ყველას ვაჩვენე“ — ასეთია სათაური. 150 ათასიანი ტირაჟით გამოცემულ წიგნში დეტალურად იქნება გარჩეული მის თავს გადამხდარი ყველა ხმაურიანი ამბავი. მათ შორის 1994 წელს მისი მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოგდება, ჩხუბი მათეუსთან, კონფლიქტი რუმენიგესთან და ბეკენბაუერთან. აღწერილი იქნება მიუნხენურ დისკოკლუბში მომხდარი ჩხუბის დეტალები და სხვა. თომას შტრუნცისთვის ცოლის წართმევაზეც იქნება სიტყვა ნათქვამი. ერთადერთი, „ვოლფსბურგიდან“ ამასწინანდელი წამოსვლის მიზეზები არ იქნება ნახსენები, ისიც იმიტომ, რომ, როგორც თავად განმარტავს, კლუბის თავკაცი იურგენ რიობერი, არ გახლავთ იმდენად ცნობილი პიროვნება, მასთან უთანხმოებამ საზოგადოება დააინტერესოს. სამაგიეროდ, დაწვრილებით ეწერება მარტინასთან გაყრისა და კლაუდიასთან შეყრის ამბები.

ბოლოს კი ეფენბერგთან დაკავშირებით კიდევ ერთ სიახლეს გეტყვით: მომავალი სეზონის ბოლოს იგი თავისი გამოსათხოვარი მატჩის ჩატარებას აპირებს. მისი სურვილით, შეხვედრა ალბათ, მიონხენგლადბახში შედგება, სწორედ იქაური „ბორუსია“ გახლდათ პირველი პროფესიული კლუბი მის კარიერაში.

**ვანო ოქროპირიძე**
*ბერლინიდან*





შტეფან ეფენბერგი ნაცოლართან (მარჯვნივ) და საყვარელთან თავს კარგად გრძნობს და არც შვილებს აკლებს ყურადღებას

# ბაიერნი სულ მთლად დაჩიჩქნეს
## ფაქტები 2006 წლისთვისაც ამოყარეს




იოზეფ ბლატერი და ფრანც ბეკენბაუერი

მიუნხენის „ბაიერნი“ ისეთი კაი საჩიჩქნავი გამოდგა გერმანული მედიისთვის, რომ სუპერკლუბს ერთი სასკანდალო ამბავიც მოუძებნეს.

ეს საქმე მიუნხენურ გაზეთმა „ზუდდოიჩე ცაიტუნგმა“ ითავა და ფაქტებიც გადმოალაგა — 2000-01 წლებში „ბაიერნი“ ამხანაგურად ეთამაშა მალტას, ტაილანდს, ტრინიდად-ტობაგოსა და ტუნისს — ეს მატჩები კომერციული ყოფილა და „ბაიერნის“ მეტოქეებს საშუალოდ 250-300 ათასი დოლარი მოუხვეჭიათ, ამ ფინანსურ ოპერაციაში „კირხმედიაც“ მონაწილეობდა.

ერთი შეხედვით უწყინარი ამბავი ასე გრძელდება — 2001 წელს გერმანია 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობაში სამხრეთ აფრიკას ეპაექრებოდა და ფიფას აღმასკომის ხმებით 12:11 სძლია აფრიკელებს — და იმ ჩამოთვლილმა ქვეყნებმა, რომლის გუნდებმაც „ბაიერნს“ ამხანაგურად ეთამაშეს და ფულიც იშოვეს, ვინძლო აღმასკომის წევრებს გერმანიისთვის ხმის მიცემისკენ უბიძგესო — ეს უკვე გაზეთის ვარაუდი გახლავთ, რაც ქვეტექსტებით გადმოუფრქვევია „ზუდდოიჩე ცაიტუნგს“. გაზეთმა ცხადია, იმაზეც მიანიშნა, რომ 2000-01 წლებში „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი იყო, რომელიც ახლა 2006 წლის მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტს თავკაცობს.

„ვინც იმას ამბობს, რომ მუნდიალის მასპინძლობა ამხანაგური მატჩებით მოვიპოვეთ, აზრზე არაა, თუ რას ლაპარაკობს“ — ასე უარყო ყოველივე კაიზერ ფრანცმა.

ამასობაში „ბაიერნის“ თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე ახალი ხელშეკრულებისთვისაა დაფაცურებული — გერმანიის საფეხბურთო ლიგაზე გაბრაზებული „ბაიერნი“ ტელეკომპანია RTL-თან ეშურება საქმის გაჩარხვას.

მოგეხსენებათ, საფეხბურთო ლიგამ ბავარიული კლუბი 3 მილიონი ევროთი დასაჯა იმის გამო, რომ „ბაიერნს“ საიდუმლო და დამოუკიდებელი გარიგება აკავშირებდა „კირხმედიასთან“.

„იმ კონტრაქტით ჩვენ წლიურად 15 მილიონი ევრო გვერგებოდა და ეს მაშინ, როცა შეგვიძლია, დამოუკიდებლად გავაფორმოთ ხელშეკრულება ტელეტრანსლაციების უფლებების გაყიდვაზე და დაახლოებით 60-70 მილიონი მოვინაგროთ წლიურად“ — უთქვამს რუმენიგეს.

„საფეხბურთო ლიგას უნდა ეშინოდეს. კარგი იქნებოდა, მას „ბაიერნის“ ფასი და მნიშვნელობა გათვითცნობიერებული ჰქონდეს, არა მხოლოდ იმით, რაც „ბაიერნმა“ გერმანული ფეხბურთისთვის გააკეთა, არამედ მთლიანად მსოფლიო ფეხბურთისთვის“ — თავისი სიტყვა „ბაიერნის“ დამრიგებელმა ოტმარ ჰიცფელდმაც გააჟღერა.

**დავით თავართქილაძე**



კარლ-ჰაინც რუმენიგე




ჯორჯო ვავასორი

# კაკას ოცნება
## ვავა, ვავასორი!



კაკას „მილანში" უნდა

კაკას „მილანში" თამაში უნდა. გეხსომებათ ეს ბრაზილიელი ყმაწვილი, ლუიშ ფელიპე სკოლარის ვაჟის მეგობარი, „დიდმა ფილმა" მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წაიყვანა, იქ რამდენიმე წუთი ათამაშა და სამშობლოს ტიტულით დაუბრუნა. მაშინ, მუნდიალის წინ, ბრაზილიურ პრესაში ერთი ამბავი იყო ატეხილი, მწვრთნელს ვირს უწოდებდნენ და სხვა მრავალ საყვედურთან ერთად იმასაც ეუბნებოდნენ, შვილის ძმაკაცის გულისთვის ნამდვილად წასაყვანი ვარსკვლავები დასტოვაო. მას შემდეგ, აგერ, ერთი წელიწადი ილევა და კაკაზე უკვე, როგორც ნამდვილ აღმოჩენაზე, ისე წერენ. იგი 21 წლისაა, „სან პაულუში" თამაშობს და ასე ამბობს:

„თუ მილანელები მიმიწვევენ, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ტრანსფერი შედგეს. „მილანში" კარგი მეგობრები მყავს, ლეონარდო, რივალდო, დიდა და როკე ჟუნიორი, რომლებიც ყოველი საუბრისას ევროპაში წასვლაზე მაქეზებენ. „სან პაულუსთან" კონტრაქტი 2004 წლამდე მაქვს გაფორმებული, მაგრამ ჩემი გაყიდვა უთუოდ მათსავე ინტერესებში იქნება. ჩემთვის ყველაზე კარგი ამ ზაფხულზე, იტალიური სატრანსფერო სეზონის დროს გადაბარგება იქნება. ეს შესაძლოა ივნისში ან ივლისში მოხდეს".

კაკას სიტყვებიდან, გულწრფელად რომ გითხრათ, მთლად ნათელი დასკვნა ვერ გამოგვაქვს. კერძოდ, რატომ წამოიჭრა ეს თემა? რა არის ეს, ფეხბურთელის სურვილი თუ რაიმე რეალურზე დაფუძნებული გეგმა? თუ მხოლოდ ფეხბურთელის სურვილია, მაშინ მას, კაკას პროფესიის ადამიანებისთვის უჩვეულო ოცნების ელფერი დასდევს და ასე შემდეგ, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ივნის-ივლისი მალე მოვა.

ამ მოკლე წერილში რამდენიმე იტალიური ამბის მოყოლას ვისახავ მიზნად. პირველი, როგორც ნახეთ, „მილანთან" იყო დაკავშირებული, მეორე კი „პარმას" ეხება და ასეთია: ამ კლუბის მიღწევათა დავთარში თავიანთი გვარები ადრიანომ და ადრიან მუტუმ ჩაწერეს — წყვილმა, ერთობლივი ძალისხმევით, 28 გოლი გაიტანა. ეს ჯანფრანკო ძოლასა და ფაუსტინო ასპრილიას ჯამურ ნაჯაფს უტოლდება. ძოლამ და ასპრილიამ თავიანთი 28 1993-94 წლების სეზონში შეაგდეს. ასეთივე შედეგს 1999-2000 წლებში მიაღწიეს ერნან კრესპომ და მარკო დი ვაიომ.

„სეზონის ბოლომდე ადრიანომ და მუტუმ კიდევ უნდა გაიტანონ რამდენიმე გოლი — თქვა „პარმას" კმაყოფილმა პრეზიდენტმა სტეფანო ტანციმ — ჩვენ მეოთხე ადგილისთვის ვიბრძვით, მაგრამ ეს ძალიან ძნელი ბრძოლაა, „ტორინოსთან", ბოლო ტურში, როგორც ნახეთ, დიდი გაჭირვებით მოვიგეთ. უეფას თასზე გასვლაც არ არის იოლი საქმე, მაგრამ მწამს, ჩვენი გუნდი ყველა ღონეს იხმარს, რათა ჩემპიონთა ლიგაში მოხვდეს".

„ტორინოს" „პარმამ" 1:0 მოუგო და ეს ერთადერთი გოლი პენალტით სწორედ მუტუმ გაიტანა.

მესამე იტალიური ცნობა კი ის გახლავთ, რომ ბერგამოს „ატალანტამ" (ამ გუნდს სერია A-დან გავარდნა ემუქრება) თანამდებობიდან დაითხოვა მწვრთნელი ჯოვანი ვავასორი, ხოლო მისი საქმე, სეზონის ბოლომდე ახალგაზრდული „ატალანტას" თავკაცს, ჯანკარლო ფინარდის დაევალა.

ბოლო ტურში ბერგამოელებმა მათსავით სუსტ „რეჯინასთან" ფრედ ითამაშეს და მეთხუთმეტე ადგილზე არიან. კლუბის განცხადებაში წერია:

„ბოლო პერიოდის სამწუხარო შედეგების გამო, რომელთა გამოც „ატალანტა" ურთულეს ვითარებაშია, გადაწყდა გადაიდგას დაუგეგმავი ნაბიჯი და თანამდებობიდან გათავისუფლდეს მწვრთნელი ჯოვანი ვავასორი. კლუბი მადლობას უხდის მას გაწეული შრომისა და განვლილი წლებისთვის".

ვავასორი 51 წლის გახლავთ. ადრე იგი თავად მუშაობდა ახალგაზრდათა მწვრთნელად, საიდანაც 1999 წელს მთავარ სკამზე გადაინაცვლა და „ატალანტა" სერია A-ში აიყვანა. პირველ სეზონში გუნდის ძირითად შემადგენლობაში მიიყვანა ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა ნელი, მაგრამ ჩინებული ფეხბურთის წყალობით მე-7 ადგილი მოიპოვა.

გასულ სეზონში „ატალანტა" მე-9 ადგილზე გავიდა, მიმდინარე სეზონში კი გაუჭირდა და, როგორც მოგახსენეთ, ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე გავარდნის საშიშროების წინაშე დგას.

**პაპუნა ძიდია**

# გლენ რიოდერის გულიც გატყდა

ბაქოდან და ჰეიდარ ალიევიდან შორს, ლონდონის „აპტონ პარკზე", ადგილობრივი დროით საღამოს შვიდის ოც წუთზე „ვესტ ჰემის" მთავარმა მწვრთნელმაც აზერბაიჯანის პრეზიდენტივით ხელი მკერდზე იკრა და ჩაიკეცა. რამდენიმე წუთში გლენ რიოდერი უაითჩეპელის სამეფო ჰოსპიტალში გააქანეს.

არადა, „მიდლსბროსთან" მატჩი „ვესტ ჰემმა" მოიგო და პრემიერლიგაში ყოფნა ცოტა ხნით გაიხანგრძლივა. აი, სწორედ მაგაშია საქმე, რომ ოდენ ცოტა ხნით — თითქმის აღარავის სჯერა, რომ დარჩენილ სამ თამაშში აღმოსავლეთ ლონდონის ცნობილი კლუბი მატჩნაკლულ და 3 ქულით წინ მყოფ „ლიდსს" გადაასწრებს.

ამიტომაც იყო, რომ „აპტონ პარკმა", ტრევორ სინკლერის გამარჯვების გოლის მიუხედავად, თავისი გუნდი და მისი მწვრთნელი სტვენით გააცილა. ასეთი რამ კი გლენ რიოდერისთვის, „ვესტ ჰემს" 2001 წლის ივნისიდან რომ თავკაცობს, უცხო ხილია. ჰოდა, ინერვიულა 47 წლის კაცმა და...

„გლენის მდგომარეობა ნორმალურია. ის ექიმების ყურადღების ქვეშაა და დღეს ყველანაირი გამოკვლევა ჩაუტარდება" — განაცხადა კლუბის პრეს-ატაშემ.

**გიგა ძოგახიძე**



# სტივ ბრიუსს ზღაპრების არ სჯერა
## სტრაჩანმა მსაჯი დიუგარის სიყვარულში ამხილა

პრემიერლიგის გასული ტურის მატჩში, ლიგაში დასარჩენად მებრძოლმა „ბირმინგემმა" „საუთჰემპტონს" სძლია. თავიდან სტუმრები იგებდნენ, თუმცა მასპინძელთა გამარჯვება ბოლო წუთებზე კრისტოფ დიუგარის გოლმა გამოაცხო.

„საუთჰემპტონის" მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა და კრისტოფ დიუგარისაც გადასწვდა. ფრანგიო, თქვა სტრაჩანმა, საკუთარი ავტორიტეტით სარგებლობდა და მსაჯის დაირგუნვას ცდილობდაო: „ვფიქრობ, რომ მოედანზე მსაჯი კი არა, კრისტოფ დიუგარი იყო მთავარ როლში. კი, ბატონო, ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, თუმცა მატჩის დაწყებიდანვე ისეთი ამბები ხდებოდა, რამაც მაშინვე დამაეჭვა. მაგალითად, ერთ ეპიზოდში არბიტრმა სტივ ბენეტმა ფრანგს თავისთან უხმო, რომელიც დაახლოებით თხუთმეტიოდე მეტრში იდგა. ჰოდა, როცა დიუგარიმ ბენეტთან მისვლა არ იკადრა, მსაჯი თავად გაემართა ფეხბურთელისკენ. განა ეს არაფერს ნიშნავს?"

გორდონ სტრაჩანი ენად გაიკრიფა და იქვე დასძინა: „მთავარი მსაჯი მოედანზე მთავარი უნდა იყოს. ასეთი რამ ცხოვრებაში არასოდეს მინახავს. მახსოვს, თვით კენი დალგლიშიც კი მსაჯისკენ მორჩილად მიემართებოდა".

ცხადია, მხოლოდ გორდონ სტრაჩანს არ ულაპარაკია და „ბირმინგემის" თავკაცმა სტივ ბრიუსმა სრულიად საპირისპირო თქვა: „მსგავსი ბრალდების გამოგონება მხოლოდ გორდონს შეუძლია. დიუგარის მსაჯზე ზეწოლა ზღაპარია და მეტი არაფერი".

**ვაჟა ხუციშვილი**

# რუსთა პოლიცია ქექავს
## ფედერალებმა რომანცევის ხელი იპოვეს



ოლეგ რომანცევს ხელი მოუწერია

**რუსეთის** საგადასახადო პოლიციის ფედერალურმა სამსახურმა „სპარტაკის" მიერ დამალულ შვიდ მილიონ დოლარს მიაგნო. შეგახსენებთ, რომ ეს ამბავი ჯერ კიდევ შარშან ამოტივტივდა, თუმცა სისხლის სამართლის საქმე ერთი თვის წინ, 26 მარტს აღიძრა.

„სპარტაკის" ყოფილ პრეზიდენტს, ამჟამად კი მწვრთნელს, ოლეგ რომანცევს და მის დამქაშებს ბრალი ედებათ გადასახადის დამალვაში. 1998 წელს, რომანცევის პრეზიდენტობისას, კლუბის გენერალური დირექტორი იური ზავარზინი იყო, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი — გრიგორი ესაულენკო.

ესაულენკო თავის მეუღლეში თვით ალექს ფერგიუსონმა მოიხსენია. თავის დროზე, როცა „სპარტაკის" ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა „მანჩესტერ იუნაიტედში" ანდრეი კანჩელსკისის ტრანსფერი გაჩარხა, ალექს ფერგიუსონს 40 ათასი დოლარი ქრთამი შეაძლია. თან ეს ისე ეშმაკურად გააკეთა, რომ შოტლანდიელი გაოცებული დარჩა. „მატრიოშკაში" რეზინით შეკრული კუპიურები ჩადო და მანჩესტერელთა მწვრთნელს სუვენირად მიართვა.

ფედერალებმა „სპარტაკის" საბანკო ანგარიშები შვეიცარიაში გამოქექეს და ახლა თანხებს დაუბრკოლებლად აკონტროლებენ. გამომძიებელთა თქმით, კლუბს ზემოხსენებული 7 მილიონის გარდა გადასახადი არაერთხელ დაუმალია. ფედერალური სამსახურის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ მათ აქვთ საბუთი ოლეგ რომანცევის ხელმოწერით. ეს საბუთი ერთგვარი მინდობილობაა, რომლის ძალითაც მხოლოდ რომანცევს და იური ზავარზინს მიუწვდებოდათ ფულზე ხელი.

კლუბმა შვეიცარიის ბანკში ანგარიში რუსეთის ცენტრალური ბანკის გვერდის ავლით გახსნა, რაც რუსთა კანონებით აკრძალულია. გამოძიება ვარაუდობს, რომ შვეიცარიაში კიდევ რამდენიმე ტრანსფერის ფულს აღმოაჩენს. ფედერალურ სამსახურს კონფიდენციალური ანგარიშის გაკონტროლების საშუალებას აძლევს რუსეთ-შვეიცარიას შორის ფინანსური ინფორმაციის გაცვლის შესახებ არსებული გარიგება. სწორედ ამ გარიგების წყალობით „დაიბადა" „სპარტაკის" საქმე.

ორიოდ დღის წინ გამოძიებამ იური ზავარზინი დაკითხა, ახლა კი ოლეგ რომანცევის ჯერია. მას შარშან საგადასახადო პოლიციასთან პრობლემები უკვე ჰქონდა. რომანცევმა დეკლარაცია არასწორად შეავსო და ამ ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმეც კი „შეუკერეს", მაგრამ ამნისტიამ მიუსწრო და გადარჩა. ამჯერად „სპარტაკის" ყოფილ პრეზიდენტს ბრალეულობა თუ დაუმტკიცეს, შვიდი წელით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

აღსანიშნავია ასეთი ფაქტი: რუსეთში კლუბებს შორის შემდგარი ტრანსფერების შედეგად მიღებულ-გაცემული თანხები განსაკუთრებულ წესით კონტროლს არ ექვემდებარება. მთავარია, კლუბმა ფიქსირებული გადასახადი ბიუჯეტში შეიტანოს. რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა თქვა: „ჩვენი მხრიდან რეაგირება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი კლუბს ტრანსფერთან დაკავშირებული პრობლემა შეექმნება. ამ მხრივ „სპარტაკსა" და „რომას" შორის სადავო არაფერი ყოფილა და არც ჩვენ ჩავრეულვართ".

რუსულ საფეხბურთო წრეებში ამ საქმის „გაცოცხლების" ახალი ვერსია გაჩნდა. თითქოს, საგადასახადო პოლიციაში ოპერატიული ინფორმაცია 7 მილიონი დოლარის შესახებ თავად კლუბიდან მიიღეს. ვიღაცამ ძველები „გაყიდა". ის ვიღაც კი „სპარტაკის" ახალი ბოსების წრიდანაა, რომლებსაც ძველი, რომანცევის პრეზიდენტობის დროინდელი კადრების მოშორება სწადიათ.

მომავალი წლიდან უეფა ევროთასებზე მონაწილე კლუბების ლიცენზირებას დაიწყებს. კლუბები ეროვნული ფეხბურთის ფედერაციაშიც და უეფაშიც ფინანსური საქმიანობის შესახებ საბუთებს წარადგენენ, რომელშიც ცხადია, ფეხბურთელების გაყიდვიდან შესული თანხები მისხალ-მისხალ უნდა იყოს აღწერილი, ანუ ლიცენზირება ღია „ევრობიუჯეტს" მოითხოვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გულუბრყვილო ბატა: რატომ ისროლეთ დანა?

## ჩაკეტილი მატჩის დელეგატი ჩაშლილი მატჩის დელეგატი იქნება


ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

*ჩეხი რუდოლფ ბატა 12 ოქტომბერს ჩაშლილი საქართველო – რუსეთის მატჩზე უეფას დელეგატი იყო. მაშინ, მოგეხსენებათ, „ლოკომოტივის" სტადიონი ჩაბნელდა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი შეწყდა. ბატამ ყოველივე თავისი ოფიციალური პატაკით უეფას აცნობა. უეფასგან სანქციას მაშინვე ველოდით, თუმც არაფერი, საქართველო– რუსეთის გადათამაშება თბილისშივე დაინიშნა 30 აპრილს და უეფამ დელეგატად ისევ რუდოლფ ბატა მოავლინა. ამჯერად ჩეხ სტუმარს ცარიელი „ლოკომოტივი" და რუსების დანახვაზე კიდევ უფრო გაღიზიანებული, ქუჩაში მყოფი ქართველი ქომაგი დახვდება...*

— ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ცარიელი ტრიბუნების წინ გამართული შეხვედრის დელეგატი ვყოფილიყავი. საქართველო — რუსეთი პირველი იქნება — გვითხრა რუდოლფ ბატამ, რომელსაც გუშინ პრაღაში დავუკავშირდით — თუმც კი უეფას ასეთი მატჩების ჩატარების გამოცდილება აქვს. თუნდაც ხლოვაკეთი — ლიხტენშტაინის 2 აპრილის შეხვედრა გაიხსენეთ.

**— უეფას დელეგატს იქნებ არც უნდა ვეკითხებოდეთ, მაგრამ მაინც — სადისციპლინო კომიტეტის ასეთ გადაწყვეტილებაზე რუსეთის გავლენა გამორიცხული იყო?**

— რატომ ფიქრობთ, რომ უეფას გადაწყვეტილებაზე რუსეთმა იმოქმედა? 12 ოქტომბრის საქართველო — რუსეთის დელეგატიც მე გახლდით და მაშინ ისეთი არაფერი მომხდარა, რუსებს თბილისში ხელმეორედ ჩამოსვლის შეშინებოდათ. 12 ოქტომბერს შუქი ჩაქრა. ასეთი შემთხვევა სხვა ქვეყნებშიც ყოფილა. ლამაზულობას ხელოვნურად ნუ ქმნით. ფეხბურთი და პოლიტიკა ერთი არ არის.

**— რაიმე განსაკუთრებულს თუ ელით 30 აპრილის საქართველო — რუსეთისგან?**

— არაფერს, მხოლოდ ჩვეულებრივ მატჩს.

**— ხომ არ გიფიქრიათ, რომ უეფასთვის უარი გეთქვათ და ამ თამაშის დელეგატობას არიდებოდით?**

— ოქტომბერში, როცა თბილისში ვიყავი, ჩემი საქმე გავაკეთე, მასპინძელთაგან ყურადღება, პატივისცემა ვიგრძენი. დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც ასე იქნება, მით უმეტეს, საქართველოში რამდენიმე მეგობარი მყავს. უარის თქმის მიზეზი არ მქონდა.

**— საქართველო — ირლანდიის მატჩისას მომხდარ ინციდენტზე უეფასგან შეიტყვეთ?**

— არა, პრესის საშუალებით და იცით, ვერ გავიგე ქომაგმა მოედანზე დანა რატომ ისროლა, რატომ გაუჩნდა ასეთი სურვილი.

**— უეფას გადაწყვეტილება რამდენად სამართლიანად გეჩვენებათ?**

— ვერაფერს გეტყვით, კომენტარის უფლება არ მაქვს.

**— შესაძლებელია თუ არა, მატჩისას ცარიელ ტრიბუნაზე დიდი ზომის ეროვნული დროშა იყოს გაფენილი?**

— ეს საერთაშორისო თამაშია და მასპინძლის დროშასთან ერთად სტუმრისაც უნდა იყოს.

**— ეს ოფიციალური მხარეა. ჩვენ გვაინტერესებს, ტრიბუნაზე თუ შეიძლება ქომაგმა მატჩზე დაუსწრებლად დროშა რომ გამოფინოს?**

— ზუსტად ვერ გიპასუხებთ, ეროვნულ ფედერაციაში გაარკვიეთ.

**კობა ინასარიძე**

# იტალიამდე თბილისში დილა ან გორდა

UNDER-19 Championship

ორიოდ დღეა, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ რჩეული შეგირდები შეკრიბა და გუნდს ევროპის 2004 წლის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპისთვის ამზადებს. ნაკრები იტალიაში გამგზავრებამდე სასტუმრო „მესაზღვრეში" დაიდებს ბინას. შეგახსენებთ რომ ქართველები 2-6 მაისს იტალიაში ეცდებიან კონტინენტის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას. ოთარ კორღალიძის გუნდს ამაში შესარჩევი ციკლის მასპინძელი იტალია, ჩრდილოეთ ირლანდია და ლატვია ეცილებიან.

ქართველი ცხრამეტწლამდელები უკვე თბილისში ვარჯიშობენ. ისინი 29 აპრილამდე სწორედ დედაქალაქში მოემზადებიან და 29-ში აპენინებზე გაფრინდებიან. მანამდე კი, 26 აპრილს, გორის „დილას" ან რუსთავის „გორდას" გაეჯიბრებიან ამხანაგურად.

აქვე იტალიაში გასამართი მატჩების განრიგსაც გთავაზობთ: *2 მაისი: საქართველო — ჩრდილოეთ ირლანდია; 4 მაისი: იტალია — საქართველო; 6 მაისი: საქართველო — ლატვია.*

საამმატჩებოდ ოთარ კორღალიძემ შემდეგი ფეხბურთელები შეარჩია:

*მეკარეები — ირაკლი თოთლაძე (დინამო 2), დავით ნაფეტვარიძე (დინამო 2);*

*მცველები — შოთა კაშია (დინამო 2), გოჩა წილოსანი (დინამო 2), ლაშა ჭელიძე (ტორპედო), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), მამუკა ლომიძე (პინტონი, ინგლისი), ანზორ კალაძე (ურალანი, რუსეთი);*

*ნახევარმცველები — ზურაბ ექონია (დინამო 2), ვასილ კუნჭულია (დინამო 2), კოტე დარსანია (კოლხეთი), მურთაზ ბურნაძე (ლოკომოტივი);*

*თავდამსხმელები — ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), სანდრო იაშვილი (დინამო 2), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე (მერანი-ოლიმპი), სანდრო გურული (მულონი, საფრანგეთი), გიორგი რეხვიაშვილი (ნორჩი დინამოელი), ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია).*

**ქაბა ზალამბერიძე**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქეები

*სმერტინი, ალენიჩევი, იზმაილოვი, კარიაკა, ტიტოვი, კერჟაკოვი, სიჩოვი — რუს ჟურნალისტთა აზრით, ვალერი გაზაევი ქართველების წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში ამათ ათამაშებს. რუსებმაც და ჩვენც შვიდი ფეხბურთელი ჩამოვთვალეთ. ვინ შეავსებს დარჩენილ ოთხ ადგილს? ამ კითხვაზე პასუხი ჩვენს რუს კოლეგებს კი არა, ჯერჯერობით თავად გაზაევსაც არა აქვს.*

# გაზაევი დაცვაზე ნაღვლობს, უსაფრთხოებაზე ფიქრობს

### რუსეთი

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ რუს მედიელთა მიერ დასახელებულ შვიდკაცა გუნდს მეკარე და მცველები აკლია. უკანა ხაზი დღესდღეობით მართლაც ყველაზე დიდი პრობლემაა სათბილისოდ ბრჭყალალესილი „ორთავა არწივისთვის".

გაზაევის მიერ გაცხადებულ 23-კაციან სიაში, გუშინდელ „სარბიელში" რომ წარმოვადგინეთ, ექვსი მცველია. რკინიგზელები — ნიჟეგოროდოვი და იგნაშევიჩი, არმიელები — ძმები ბერეზუცკები და ევსიკოვი, აგრეთვე რაიოვალეკანოელი ონოპკო. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული გუსევი გამოაკლდათ, ამ კონტინგენტის გათვალისწინებით, ერთი შეხედვით, გაზაევს დაცვაში პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მწვრთნელის მიერ გამოძახებულნი ცუდ ფორმაში არიან.

რკინიგზელთა დუეტმა შკოდერში რუსთა შერცხვენაში გვარიანი წილი დაიდო. იგნაშევიჩმა და ნიჟეგოროდოვმა მას შემდეგაც ვერ გამოასწორეს თამაში. მეტიც, მათი შეცდომებით ტურიდან ტურამდე „ლოკომოტივი" ზარალობს. ბოლო მატჩში „სპარტაკ-ალანიასთან" იგნაშევიჩი, მეტი რომ არ ვთქვათ, ფორმაში არ იყო, შეცვლაზე შესული ნიჟეგოროდოვი კი ვლადიკავკაზელებს მესამე გოლის გატანაში დაეხმარა. უკეთეს დღეში არც ძმები ბერეზუცკები არიან. ალექსეი და ვასილი ბოლო ტურში „როსტოვთან" შეხვედრაში გადაღლილი დათვებივით დაბოტებდნენ მოედანზე. ცსკა-ში მოთამაშე ძმების არასტაბილურობას ბოლო დროს რუსული პრესაც ხაზს უსვამს. ევსიკოვის სათამაშო კონდიციებზე კი ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ეს არმიელი მცველი ლამის თავისი გუნდის სათადარიგოდ ჩამოყალიბდა. ევსიკოვი „როსტოვთან" მატჩშიც მოედნის გარედან ადევნებდა თვალს თავისიანთა მარცხს.

დაგვრჩა ონოპკო, ერთადერთი ლეგიონერი მცველი. რაიო ვალეკანოელის პროფესიონალიზმი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ონოპკომ ცოტა ხნის წინ მოიშუშა ტრავმა და მხოლოდ ერთხელ (ისიც შეცვლაზე) ითამაშა თავისი კლუბის შემადგენლობაში.

ასეთი ვითარებაა რუსთა დაცვაში და საკითხავია, ქართველები როგორ გამოიყენებენ მეტოქის ამ ხარვეზს.

გაზაევს მეკარის პრობლემებიც არ აკლია. შკოდერის მერე არ უთამაშია დისკვალიფიცირებულ სერგეი ოვჩინიკოვს. ფაქტია, მას პრაქტიკა აკლია და ძნელად თუ შეხვდება სრულად მობილიზებული თბილისურ მატჩს. რაც შეეხება ვენიამინ მანდრიკინს და ვალერი ჩიჟოვს, ესენი თავიანთ კლუბებში სტაბილურად კი თამაშობენ, მაგრამ სანაკრებო პრაქტიკაში ოდენ თითო ტაიმს თუ მიითვლიან, ისიც სათებერვლო მალტური ტურნირისეულია.

ალბათ ჩამოთვლილი პრობლემების შედეგია, ვალერი გაზაევი ისეთი ენერგიული და იმედიანი რომ არ ჩანს, როგორიც თბილისში პირველად გამომგზავრების წინ იყო.

გაზაევმა გუშინ სააგენტო „ნოვოსტიში" გამართა პრესკონფერენცია. მწვრთნელსა და ჟურნალისტებს შორის კითხვა-პასუხი ასეთი იყო:

**— თბილისში ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში ჩვენი გუნდისთვის სასარგებლო იქნება?**

— უმაყურებლო ფეხბურთი ფეხბურთი არ არის. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ჩატარდეს მატჩი უმაყურებლოდ. ასეთ რამეს არც ფეხბურთელობისას და არც მწვრთნელობისას არ შევსწრებივარ. უეფას ამ გადაწყვეტილებას უარყოფით შეფასებას ვაძლევ. ფეხბურთელები მოედანზე გულშემატკივრების სუნთქვას უნდა გრძნობდნენ, ტრიბუნებიდან მოდის ის ემოცია, რომელიც საბოლოო ჯამში ნამდვილი საფეხბურთო ზეიმის ერთ-ერთი კომპონენტია.

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ უეფას თავისი გადაწყვეტილება გადაესინჯა და მაყურებელი თამაშზე დაეშვა. არამხოლოდ ქართველი გულშემატკივრები იტანჯებიან, არამედ რუსებიც, მათაც ხომ სურდათ თბილისში ჩამოსვლა და საყვარელი გუნდის გულშემატკივრობა.

**— დარწმუნებული ხართ, რომ თბილისში უსაფრთხოდ იქნებით?**

— ინციდენტები არც ერთ მატჩს არ აკლია. ქართველებთან მომავალ შეხვედრას, რა თქმა უნდა, დიდი აჟიოტაჟი ახლავს, მაგრამ ამაზე ახლა ნაკლებად ვფიქრობ. სხვისი მისახედია ისიც, რომ უსაფრთხოდ ვიგრძნოთ თბილისში თავი. ჩემი მთავარი საფიქრალი დღესდღეობით მატჩის შედეგია.

**— რა პოზიციაზე ათამაშებთ სემშოვს?**

— ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. როგორც იცით, სემშოვის გარდა ნაკრებს ალენიჩევი, ტიტოვი, იზმაილოვი და სიჩოვი დაუბრუნდნენ. პირველად მოვიწვიეთ ახალგაზრდა სპარტაკ გოგნიევი. სემშოვის მსგავსად, ამათი საკითხიც მას შემდეგ გაირკვევა, როცა გუნდი საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ამას 26 აპრილს გავაკეთებთ, მერე კი ფეხბურთელებს ვარჯიშებისას დავაკვირდები და საბოლოო დასკვნასაც მაშინ გავაკეთებ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პრობლემები გვაქვს, ვთვლი, რომ დღესდღეობით საუკეთესო 23 ფეხბურთელი გამოვიძახე.

**— რას უკავშირდება ტიტოვის და ალენიჩევის ნაკრებში დაბრუნება?**

— მძიმე ტრავმის შემდეგ ტიტოვმა სწრაფად აღიდგინა სათამაშო კონდიციები და დღესდღეობით კარგ ფორმაშია. იმედი მაქვს, მას სასიკეთოდ წაადგება მომავალი ტურის მატჩი „ზენიტთან". რაც შეეხება ალენიჩევს, იგი სტაბილურია და სისტემატურად თამაშობს „პორტუში". მე ვნახე უეფას თასის ნახევარფინალური ეტაპის „პორტუ" — „ლაციოს" მატჩი და კმაყოფილი დავრჩი დიმას თამაშით. მას ტელეფონზეც ვესაუბრე და სრული მზადყოფნა გამოთქვა ქვეყნის უპირველეს გუნდში სათამაშოდ.

**— თქვენი აზრით, სიჩოვიც კარგ ფორმაშია?**

— დიახ. იგი მატჩიდან მატჩამდე უმატებს. მოედანზე უფრო და უფრო მეტ დროს ატარებს. თანაც საუცხოოდ ითამაშა ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში. მისი გამოძახების მიზეზი ესეც გახლავთ. იგივეს თქმა შეიძლია იზმაილოვზეც.

**— რა მდგომარეობაშია ონოპკო?**

— ბოლო მატჩებში მას არ უთამაშია. რაღა თქმა უნდა, პრაქტიკა აკლია, მაგრამ იმედი მაქვს, მისი დონის ოსტატი უთამაშებლობას არ დაიტყობს.

**— არ გაღელვებთ ნაკრებში გამოძახებულ ლოკომოტიველ მცველთა მდგომარეობა? ამ გუნდმა ხომ ჩემპიონატში ჯერჯერობით ყველაზე მეტი გოლი გაუშვა...**

— პირდაპირ გეტყვით, მაღელვებს. დაცვაში პრობლემები ალბანეთთან მატჩის წინაც გვქონდა. ნიჟეგოროდოვს და იგნაშევიჩს მაშინ პირისპირაც ვესაუბრე. თქმა არ უნდა, ეს ორი მცველი შარშანდელთან შედარებით არცთუ სასურველ ფორმაშია. ეს უპირველესად „ლოკომოტივის" თამაშზე აისახება, მაგრამ იმედი მაქვს, რკინიგზელთა დუეტი საკლუბო ჩავარდნას ნაკრების კეთილდღეობისთვის დაივიწყებს. ეროვნული გუნდი სულ სხვაა და ვფიქრობ, მის შემადგენლობაში არავინ შეირცხვენს თავს ქართველებთან მატჩში.

ეს თქვა ვალერი გაზაევმა რუს ჟურნალისტებთან. ულვაშა მწვრთნელი შეგირდებს 26 აპრილიდან გადაიყვანს შეკრებაზე. ამ დღეს რუსთა ნაკრები კისლოვოდსკში შეუდგება მზადებას.


ვალერი გაზაევი

ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

**პაატა ქვანტალიანი**

# რუსეთი მაინც რუსეთია

## ქართველებს დაფი გასახდელში დანებდა

## რეინჯერსი 95% – ხიზანიშვილი უფრო მეტს უმიზნებს



ზურაბ ხიზანიშვილი რეინჯერსულ ამბებზე ათოლ სტილს თბილისიდანაც ელაპარაკა

*„დანდის" ქართველობა — ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე თბილისში გუშინ ჩამოფრინდნენ — „დანდი" 27 აპრილს შოტლანდიურ პრემიერლიგაში „კილმარნოკს" უქართველებოდ დაუხვდება.*

*ერთი სიტყვით, ხიზანიშვილი და ნემსაძე აქ იმიტომ არიან, რომ 30 აპრილს რუსეთთან მატჩისთვის კარგად მოემზადონ — 27-დან 30 აპრილამდე ხომ ძალიან ძნელია ფაქტობრივად ერთდღიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ძალები სრულად აღიდგინო, ნაკრების ვარჯიშებზე ბოლომდე დაიხარჯო და მერე ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი ითამაშო.*

*ზურაბ ხიზანიშვილი გუშინ რედაქციაში მოვიწვიეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით, მაგრამ თავიდანვე შევთანხმდით — არც ერთი სიტყვა რუსეთთან მატჩზე*

**— „დანდი" შოტლანდიის ასოციაციის თასის ფინალში გავიდა — უმთავრესად რის ხარჯზე მოახერხეთ ასეთი შედეგის მიღწევა?**

— უფრო მაინც მონდომების ხარჯზე. „ინვერნესთან" მეოთხედფინალში „სელტიკმა" 0:1 რომ წააგო, მაშინ სელტიკელებმა ვერ აჩვენეს ის, რითაც გამოირჩევიან — მოგების ჟინი. ჩვენ კი ნახევარფინალში „ინვერნესთან" მეტი შეუპოვრობით ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. „ინვერსენი" პირველი დივიზიონის გუნდი კია, მაგრამ პირველდივიზიონელებთან უფრო ძნელია თამაში, ვიდრე პრემიერლიგელებთან. კლასში საკმაო სხვაობაა და პირველდივიზიონელები უფრო შმაგად იბრძვიან, უხეშობაც მეტია, რაღაც რაგბის მაგვარ სტილში თამაშობენ.

**— „დანდის" ბოლოდროინდელ წარმატებებში ძალიან დიდია გუნდის მწვრთნელის, ჯიმ დაფის წვლილი. გიორგი ნემსაძემ გვითხრა, ეს სპეციალისტი უპირველეს ყოვლისა პრინციპულობით გამოირჩევაო.**

— ეგრეა. დაფი და „დანდის" ყოფილი მწვრთნელი ივანო ბონეტი ერთმანეთისგან ერთობ განსხვავდებიან — ბონეტის თავისი დადებითი მხარეები აქვს. დაფის კი უფრო მეტი გამოცდილება უმაგრებს ზურგს და ასაკითაც უფროსია ბონეტიზე. დაფი ჯანლუკა ვიალის ასისტენტი იყო „ჩელსიში", უმუშავია ინგლისის პირველი დივიზიონის გუნდებში, მათ შორის „პორტსმუთშიც".

**— დაფისთან ურთიერთობაში პრობლემები არ გქონია?**

— პრობლემები იყო. ტრავმის და ოპერაციის მერე შემოდგომისთვის რომ მოვჯობინდი, შემადგენლობაში არ შევყავდი და სიტუაციაც დაიძაბა. მე მისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ უკმაყოფილო რომ ვიყავი, გრძნობდა. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი კარგადაა და წარმატებულად ვთამაშობთ, ყველაფერი დავიწყებულია — ბედნიერი ვარ, ასეთ მწვრთნელთან რომ ვმუშაობ — ხანდახან თუ გაბრაზდები, ეს ფეხბურთია. დაფიმ იცის, ფეხბურთელებს როგორ მოექცეს — ეს ძალიან დასაფასებელია.

**— შენ თებერვალ-მარტის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაგასახელეს, წინა თვეს კი საუკეთესო მენეჯერის პრიზი დაფის გადასცეს...**

— მასეა. მე და დაფიმ „ბანკ ოვ სკოტლანდიიდან" ორი პრიზი წამოვიღეთ.

**— თასის ფინალში რომ გახვედით და ამით უეფას თასის საგზური მოიპოვეთ, კლუბის ხელმძღვანელობასთან არ გქონიათ ფეხბურთელებს შეხვედრა?**

— პრემიებზე და გეგმებზე სეზონის წინ გვქონდა ლაპარაკი, თუმც „ინვერნესთან" გამარჯვების შემდეგ ერთხელაც შევხვდით კლუბის ხელმძღვანელობას — მათთან შეხვედრები ახლა უჩვენოდ გრძელდება — მე და ნემსაძე, ხომ ახლა აქ ვართ.

**— დაფს თბილისში სანაკრებოდ ნაადრევად ჩამოსვლაზე როდის თხოვეთ?**

— „ინვერნესთან" თამაშის შემდეგ ამის შესახებ მას გასახდელში ვუთხარით.

**— რომ არ მოგეგოთ „ინვერნესთან", მაინც სთხოვდით ასეთ რამეს მწვრთნელს?**

— მაინც რომ გვეთხოვა, არა მგონია, რაიმე პრობლემა შეგვქმნოდა. მაგრამ რომ წაგვეგო, ალბათ მე ვერ გავბედავდი, თუმც მაინც შეიძლებოდა გაგვერისკა — რუსეთი მაინც რუსეთია.

**— „დანდი" თასის ფინალში „რეინჯერს" ხვდება და ერთ თამაშში შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს, თუმც „რეინჯერსის" და „სელტიკის" ჩემპიონობისთვის დავაში სხვა გუნდები ვერ ერევიან — რა არის ამ ჩამოყალიბებული ტენდენციის მიზეზი?**

— „რეინჯერსი" და „სელტიკი" ფინანსურად სხვა კლუბებზე ძლიერები არიან და მათ დიდი ტრადიციებიც აქვთ. შოტლანდიაში ნებისმიერ ფეხბურთელს რომ ჰკითხო, სად გინდა თამაშიო, ყველა „სელტიკს" და „რეინჯერსს" დაადებს ხელს.

**— მათ შორის შენც?**

— მე ჯერჯერობით ხელს „დანდის" ვადებ — კონტრაქტი ამ კლუბთან მაკავშირებს და უფლება არ მაქვს სხვანაირად მოვიქცე.

**— კი მაგრამ, შენი „რეინჯერსში" გადასვლა ხომ სავსებით რეალურია?**

— ჩემს აგენტ ათოლ სტილს ამის შესახებ დღესაც ვესაუბრე ტელეფონით. მან მითხრა, რომ შეხვდა როგორც „დანდის", ისე „რეინჯერსის" ხელმძღვანელობას. არ მინდა მოვლენებს გავასწრო, მაგრამ 95 პროცენტით ალბათ „რეინჯერსში" გადავალ. მგონი, „რეინჯერს" უკვე ოფიციალურად სურს ტრანსფერი, მაგრამ ქაღალდზე ჯერ არაფერია დაფიქსირებული — ამ საქმეს ეს აკლია, თორემ დიდი ინტერესი რომ აქვს „რეინჯერსს" ჩემს მიმართ, ნაღდია.

**— 21 წლის ფეხბურთელისთვის „რეინჯერსში" თამაში საკმაოდ დიდი მიღწევაა...**

— რა თქმა უნდა, ისეთ ფეხბურთელებთან ერთად თამაში, როგორებიც არიან ამორუზო, ნუმანი, მოლსი და შოთა ძალიან სასიამოვნო იქნება. თანაც „რეინჯერსიდან" კიდევ უფრო კარგ გუნდშიც შეიძლება გადასვლა.

**— პრესაში დაიწერა, ხიზანიშვილი კახა კალაძესთან „მილანში" ითამაშებსო...**

— მინდა ყველამ იცოდეს — ჩემი ვითომ „მილანში" გადასვლის ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება, ამის შესახებ არანაირი ლაპარაკი არ ყოფილა და ამაზე არც კალაძესთან არ მისაუბრია. გაკვირვებული დავრჩი, გაზეთებში „მილანში" ჩემი ტრანსფერის შესახებ რომ ეწერა, თანაც ვითომ ყველაფერ ამას მე ვამბობდი.

**— „რეინჯერს" დავუბრუნდეთ. შოთა არველაძემ ამას წინათ გვითხრა, „რეინჯერსი", ასე ვთქვათ, უფრო ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე „სელტიკიო" — შენ როგორ შეადარებდი ამ ორ გუნდს?**

— „რეინჯერსი" მართლაც უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და ასე ვთქვათ, ბურთის ამომტანი უკეთესი ფეხბურთელებიც ჰყავს, ვიდრე „სელტიკს" — ტექნიკის გარეშე ძალიან ძნელია — ხომ ნახეთ, „რეალმა" რა უქნა „მანჩესტერს"?!

**— შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად შენც სელტიკელ ჰენრიკ ლარსონს დაასახელებდი?**

— შოტლანდიაში საუკეთესოდ უმეტესობა ლარსონს ასახელებს — მისი წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია. ისე კი, საუკეთესოდ ბევრი ნემსაძესაც დაასახელებდა.

**დავით თავართქილაძე**



ზურაბ ხიზანიშვილი მომავალი სეზონიდან ალბათ რეინჯერსელი გახდება

---

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 5 ტური

## I–VI ადგილები

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 23 აპრილი. 16 საათი

### სიონი — დინამო

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (სამივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: დ. გოგია

თბილისი. შევარდენი. 23 აპრილი. 16 საათი

### ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: ვ. ქორიძე
დისკვალიფიცირებული: გაბიდაური (კოლხეთი)

თბილისი. ლოკომოტივი. 24 აპრილი. 16 საათი

### ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: გ. ცაავა
დისკვალიფიცირებული: მ. ბურნაძე (ლოკომოტივი), პოროშინი (ტორპედო)

## VII–XII ადგილები

რუსთავი. ფოლადი. 23 აპრილი. 16 საათი

### გორდა — მერანი-ოლიმპი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. ხუციშვილი; მ. მალალურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი
დისკვალიფიცირებულნი: ზვ. ლაბაძე (გორდა)

ბათუმი. დინამო. 23 აპრილი. 16 საათი

### ბათუმი — მეტალურგი

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ურუშაძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ეჯიბია; დირექტორი: ა. გრეკოვი
დისკვალიფიცირებულნი: მახარაძე (ბათუმი)

23 აპრილი. 16 საათი

### მილანი — დილა

მსაჯები: მ. მაისურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. როსტომაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: საყვარელიძე (დილა)

## I–VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 35 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 32 |
| ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 31 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:6 | 28 |
| სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 22 |
| კოლხეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 0:6 | 18 |

## VII–XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 19 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 17 |
| მერანი-ოლიმპი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:3 | 16 |
| გორდა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 15 |
| მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 12 |
| მეტალურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:11 | 10 |

საქართველოს 14 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე

# 23 ტური

**ლოკომოტივი 2 0:0 ლაზიკა**

**მერცხალი 1:1 გურია**

**მცხეთა 2:1 ალაზანი**

**სამტრედია 1:2 ცხინვალი**

**ხობი 0:3 სპარტაკი**

**სამგურალი 3:1 ჭაბუკთა ნაკრები**

**დინამო 2 1:1 ქობულეთი**

**ივერია 1:1 თსუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 23 | 15 | 7 | 1 | 51:19 | 52 |
| მერცხალი | 23 | 14 | 6 | 3 | 43:20 | 48 |
| მცხეთა | 23 | 12 | 7 | 4 | 36:19 | 43 |
| ცხინვალი | 23 | 11 | 5 | 7 | 32:22 | 38 |
| სპარტაკი | 23 | 11 | 4 | 8 | 37:23 | 37 |
| სამგურალი | 23 | 10 | 7 | 6 | 29:21 | 37 |
| დინამო 2 | 23 | 11 | 5 | 7 | 32:23 | 35 |
| ივერია | 23 | 9 | 5 | 9 | 33:32 | 32 |
| ქობულეთი | 23 | 9 | 4 | 10 | 15:21 | 31 |
| თსუ | 23 | 8 | 7 | 8 | 19:22 | 31 |
| ლოკომოტივი 2 | 23 | 7 | 9 | 7 | 23:19 | 30 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 23 | 7 | 4 | 12 | 34:37 | 25 |
| გურია | 23 | 6 | 6 | 11 | 20:33 | 24 |
| ალაზანი | 23 | 4 | 5 | 14 | 22:52 | 17 |
| ხობი | 23 | 3 | 5 | 15 | 11:35 | 14 |
| სამტრედია | 23 | 3 | 2 | 18 | 17:59 | 11 |


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-ჰანოვერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 004 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 005 | შალკე-ბოხუმი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 18.30 | 006 | გლადბახი-ლევერკუზენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | არმინია-კოტბუსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVIII ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 022 | აუე-ვატენშაიდი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXXIV ტური

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 064 | სუინდონი-პლიმუთი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

### იტალია. სერია "A". XXX ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 096 | რომა-მილანი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 097 | ბოლონია-კომო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 098 | კიევო-მოდენა | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |
| 18.00 | 099 | ემპოლი-უდინეზე | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 18.00 | 100 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 101 | იუვენტუსი-ბრეშა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 102 | პიაჩენცა-პერუჯა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 18.00 | 103 | რეჯინა-პარმა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 23.30 | 104 | ინტერი-ლაციო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXI ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 142 | ბილბაო-ბეტისი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 00.30 | 143 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 144 | მალიორკა-დეპორტივო | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 20.00 | 145 | ვალენსია-ალავესი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.00 | 146 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 147 | რაიო-ესპანიოლი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.00 | 148 | მალაგა-რასინგი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 21.00 | 149 | უელვა-ვილიარეალი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 22.00 | 150 | სევილია-რეალი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 23.30 | 151 | ბარსელონა-სოსიედადი(ნ) | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIII ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 152 | სპორტინგი-ტენერიფე | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 21.30 | 153 | ტერასა-სარაგოსა | 2,9 | 2,8 | 2,5 | 1,42 | 1,34 | 1,32 |
| 21.30 | 154 | ეხიდო-კორდობა | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 00.30 | 155 | ლას პალმასი-სალამანკა | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 156 | ალბასეტე-ლევანტე | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 157 | ლეგანესი-მურსია | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,39 | 1,34 | 1,34 |
| 21.00 | 158 | ბადახოსი-ხერესი | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 21.00 | 159 | ეიბარი-ალმერია | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 21.00 | 160 | ხეტაფე-ფეროლი | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 21.00 | 161 | ელჩე-კომპოსტელა | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| 21.00 | 162 | ნუმანსია-ოვიედო | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 164 | სტ.ეტიენი-ტულუზა | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |

**25 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 165 | რეიმსი-ვალანსი | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 23.30 | 166 | კრეტეი-გენიონი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |

### პორტუგალია. II ლიგა. XXIX ტური

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 179 | შავეში-ალვერკა | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 19.00 | 180 | მადეირა-ნავალი | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 19.00 | 181 | ფარენსე-ავეში | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 19.00 | 182 | სალგეიროში-კოვილია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 183 | ამადორა-ოვარენსე | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 19.00 | 184 | მაია-მარკუ | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 19.00 | 185 | ფელგეირაში-ლეცა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 186 | პორტიმონენსე-პენაფიელი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIX ტური

**25 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 187 | ვალვაიკი-ტილბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 188 | ჰერენვენი-ვიტესი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.30 | 189 | გრააფსხაპი-პსვ | 7,0 | 4,2 | 1,4 | 2,62 | 1,16 | 1,04 |
| 23.00 | 190 | ტვენტე-ექსელსიორი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 191 | ალკმაარი-აიაქსი | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 17.30 | 192 | ფეიენოორდი-როზენდაალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 193 | ფეიენოორდი-როზენდაალი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 17.30 | 194 | ნაიმეგენი-უტრეხტი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 17.30 | 195 | გრონინგენი-ბრედა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### პოლონეთი. XXIII ტური

**25 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 241 | ლეგია-კატოვიცე | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 242 | ზაგლებე-პლოცკი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 21.15 | 243 | ვისლა-ამიკა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 22.00 | 244 | რუხი-ვიძევი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 245 | გროცლინი-პოლონია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 18.00 | 246 | გარბარნია-ლეხი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

### თურქეთი. XXIX ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 247 | ელაზიგი-ბეშიქთაში | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 18.30 | 248 | ანკარაგუჯუ-დიარბაქირი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.00 | 249 | ფენერბაჩე-სამსუნი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 250 | ფენერბაჩე-სამსუნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 251 | ალთაი-გენჩლერბირლიგი | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 16.30 | 252 | ტრაბზონი-გიოზთეპე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 16.30 | 253 | გაზიანთეფი-ისთანბული | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 16.30 | 254 | მალათია-ბურსა | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 21.00 | 255 | გალათასარაი-ადანა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 256 | გალათასარაი-ადანა 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXIV ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 257 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 258 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 259 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 260 | პარტიკი-მაზერუელი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 261 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 262 | დანდი-კილმარნოკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

### დანია. გადადებული მატჩი.

**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 287 | ფარუმი-ორჰუსი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |

### ავსტრია. XXX ტური

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 298 | რაპიდი-გრაცერი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 22.30 | 299 | ბრეგენცი-პაშინგი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 22.30 | 300 | რიდი-ზალცბურგი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 22.30 | 301 | ადმირა-კერნტენი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. VIII ტური

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 319 | კონკორდია-ივერდონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 320 | ბელინცონა-ვინტერთური | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 321 | შაფჰაუზენი-ბადენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 17.30 | 322 | ლოზანა-ვილენი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

### რუსეთი. VI ტური

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 323 | ჩერნომორეცი-ცსკა | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 16.00 | 324 | როსტსელმაში-ალანია | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 16.00 | 325 | სატურნი-კრილია | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 16.00 | 326 | სპარტაკი-ზენიტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 16.00 | 327 | რუბინი-ურალანი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 328 | ლოკომოტივი-მეტალურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 16.00 | 329 | როტორი-შინიკი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 16.00 | 330 | დინამო-ტორპედო | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |

### საფრანგეთი. თასი. ½ ფინალი

**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 353 | ისტრი-რენი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 354 | პსჟ-ბორდო | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |

### საბერძნეთი. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.45 | 355 | აეკ-პაოკ | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |

### საბერძნეთი. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 356 | არისი-ეგალეო | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |

### ჩეხეთი. თასი. 1/4 ფინალი

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 357 | ბუდეიოვიცე-პრჟიბრამი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

### პოლონეთი. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 358 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 359 | პლოცკი-რადომსკო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

### თურქეთი. თასი. ფინალი. (ნეიტრალურზე)

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 360 | გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |

### დანია. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი

**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 361 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.00 | 362 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |

### ჩემპიონთა ლიგა. ¼ ფინალი. II ეტაპი

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 365 | მანჩესტერი-რეალი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 23.45 | 366 | მილანი-აიაქსი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |

### უეფას თასი. ½ ფინალი. II ეტაპი

**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 367 | ლაციო-პორტუ | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 00.05 | 368 | ბოავიშტა-სელტიკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |

### ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I ეტაპი

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.10 | 370 | ს. პორტენიო-ინდეპენდიენტე | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 05.40 | 371 | ნასიონალი-სანტოსი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |

**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.10 | 372 | ბოკა ხუნიორსი-პაისანდუ | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 07.30 | 373 | უნამ-კობრელოა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

### კალათბურთი. ულების თასი

**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 659 | ვალენსია-კრკა | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |

### კალათბურთი. NBA

**23 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 662 | ფილადელფია-ნიუ ორლეანი | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2,13 |
| 05.00 | 663 | დეტროიტი-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 06.30 | 664 | დალასი-პორტლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |

### 3001 ჰოკეი. მს. ჩემპიონი

| | |
|---|---|
| ფინეთი | 3,6 |
| ჩეხეთი | 4,5 |
| რუსეთი | 4,5 |
| კანადა | 4,5 |
| შვედეთი | 6,0 |
| სლოვაკეთი | 9,0 |
| ა.შ.შ | 10,0 |
| გერმანია | 50,0 |
| ლატვია | 50,0 |
| შვეიცარია | 75,0 |
| უკრაინა | 75,0 |
| ავსტრია | 150,0 |
| ბელარუსია | 150,0 |
| დანია | 250,0 |
| სლოვენია | 250,0 |
| იაპონია | 500,0 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23 აპრილი | | | | |
| 23.45 | 1003 | მანჩესტერი-რეალი | 4,0 | 1,15 |
| 23.45 | 1004 | მილანი-აიაქსი | 1,35 | 2,5 |
| 24 აპრილი | | | | |
| 24.00 | 1005 | ლაციო-პორტუ | 6,5 | 1,05 |
| 00.05 | 1006 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,6 | 2,0 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 აპრილი | | | | | | | | |
| 23.45 | 2004 | მანჩესტერი-რეალი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 23.45 | 2005 | მილანი-აიაქსი | 1,95 | 2,2 | 6,0 | 1,03 | 1,47 | 1,6 |
| 24 აპრილი | | | | | | | | |
| 24.00 | 2006 | ლაციო-პორტუ | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| 00.05 | 2007 | ბოავიშტა-სელტიკი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 23 აპრილი | | | | |
| 23.45 | 2304 | მანჩესტერი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 23.45 | 2305 | მილანი-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| 24 აპრილი | | | | |
| 24.00 | 2306 | ლაციო-პორტუ | 1,65 | 1,95 |
| 00.05 | 2307 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,7 | 1,9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23 აპრილი | | | | |
| 23.45 | 2404 | მანჩესტერი-რეალი | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2405 | მილანი-აიაქსი | 1,4 | 3,0 |
| 24 აპრილი | | | | |
| 24.00 | 2406 | ლაციო-პორტუ | 1,4 | 3,0 |
| 00.05 | 2407 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,85 | 1,95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 23 აპრილი | | | | | |
| 23.45 | 2504 | მანჩესტერი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2505 | მილანი-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24 აპრილი | | | | | |
| 24.00 | 2506 | ლაციო-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.05 | 2507 | ბოავიშტა-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23 აპრილი | | | | |
| 23.45 | 2204 | მანჩესტერი-რეალი | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2205 | მილანი-აიაქსი | 1,8 | 1,8 |
| 24, აპრილი | | | | |
| 24.00 | 2206 | ლაციო-პორტუ | 2,0 | 1,6 |
| 00.05 | 2207 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,7 | 1,9 |


სარბიელი

სპორტული ლატარეა

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი № 11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 . | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## კვირას, 27 აპრილს, აღდგომას კროკო არ იმუშავებს

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 აპრილი | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 2104 | მანჩესტერი-რეალი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,6 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 2105 | მილანი-აიაქსი | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20.0 | 10,0 | 10,0 |
| 24 აპრილი | | | | | | | | | | | |
| 24.00 | 2106 | ლაციო-პორტუ | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 00.05 | 2107 | ბოავიშტა-სელტიკი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

## ჩემპიონები და თასის აღება

**უეფას თასი**
**24 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 024 | პორტუ | 1,6 |
| 025 | სელტიკი | 3,0 |
| 034 | ბოავიშტა | 4,0 |
| 021 | ლაციო | 5,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**26 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 052 | მანჩესტერი | 1,6 |
| 051 | არსენალი | 1,9 |

**იტალია. სერია A**
**26 აპრილი (23.30)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 1,05 |
| 062 | ინტერი | 4,0 |
| 061 | მილანი | 6,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**26 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,15 |
| 072 | სოსიედადი | 3,5 |
| 074 | დეპორტივო | 3,5 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**28 აპრილი (20.15)**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 1,8 |
| 083 | მონაკო | 2,3 |
| 081 | მარსელი | 3,2 |
| 089 | ბორდო | 5,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**26 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 | გალათასარაი | 2,4 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**
**27 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,05 |
| 142 | სელტიკი | 5,0 |

**დანია**
**სუპერლიგა**
**27 აპრილი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,1 |
| 152 | ბრიონდბიუ | 3,6 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**27 აპრილი (19.15)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი | 1,45 |
| 161 | ბაზელი | 2,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**9 მაისი (20.00)**

| | | |
|---|---|---|
| 262 | ბენეტონი | 2,0 |
| 261 | ბარსელონა | 2,5 |
| 264 | ცსკა | 3,5 |
| 274 | სიენა | 4,6 |

### რაგბი

# იშვიათი შემთხვევა: ქართველი მწვრთნელი მსაჯებს არ აბრალებს

## ნარიმანაშვილმა სორელს მეათე ადგილი და არჩილ ალიქაძე ანახა

*საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები საფრანგეთში დასრულებული მსოფლიოს თასიდან დაბრუნდა. მე-10 ადგილი, ასეთია ჩვენების მონაგარი ჭაბუკთა უპირველეს სარაგბო ტურნირზე. უმცროსმა პორჯღალოსნებმა შარშანდელი შედეგი გაიმეორეს და გაისადაც უძლიერეს 16 გუნდში იტრიალებენ. პროგრამა-მინიმუმი შესრულებული კია, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პაატა ნარიმანაშვილის თქმით, მის შეგირდებს უკეთესი ადგილის დაკავება შეეძლოთ...*



საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მენეჯერი დიმიტრი ობოლაძე და მთავარი მწვრთნელი პაატა ნარიმანაშვილი

**— წლეულსაც მეათე ადგილი. კმაყოფილი ხართ?**

— არა, მეტი შეგვეძლო. წავაგეთ უელსთან და იაპონიასთან, მოვუგეთ რუსეთს და კანადას. არადა, რაც უნდა პარადოქსულად და თუნდაც აბსურდულად მოგეჩვენოთ, შეგვეძლო უელსის დამარცხება და ამით რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა, აღარაფერს ვამბობ იაპონიასთან წაგებულ მატჩზე.

**— ამბობთ, უელსის დამარცხება შეგვეძლოო. რა საფუძველი აქვს ასეთ თამამ განცხადებას?**

— უპირველეს ყოვლისა, აქ იყო ფსიქოლოგიური მომენტი. შარშან უელსელები ბეწვზე გადაგვირჩნენ და წლეულს შიშით გვიყურებდნენ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდათ, მეორე ტაიმში გადამწყვეტი ლელო რომ გაგვიტანეს. მათი ასეთი სიხარული მეც გამიკვირდა. როგორც იაპონიასთან, უელსთანაც ბიჭებმა ძალიან ბევრი ელემენტარული შეცდომა დაუშვეს. უელსი და იაპონია კი მაღალი კლასის გუნდები არიან და ამ შეცდომებზე დაგვსაჯეს. განსაკუთრებით იაპონელთა კარგი თამაშია აღსანიშნი. შარშან ჩვენ რომ მოვუგეთ, ის იაპონია ახლოსაც ვერ მივა წლევანდელთან. მას აქეთ ძალიან მოუმატეს.

**— წელან შეცდომები ახსენეთ. ისინი შეუთამაშებლობის ბრალი ხომ არაა? ნაკრებს რომ უკეთესად მომზადებული ყო ალბათ შეცდომებიც ნაკლები იქნებოდა.**

— რა თქმა უნდა, მიზეზი ესეც არის, მაგრამ რაგბის კავშირმა რაც შეძლო, ის გააკეთა. მოგვიწყო ორკვირიანი შეკრება ბაკურიანში, სადაც ძირითადი აქცენტი ფიზმომზადებაზე გაკეთდა. ტურნირის წინ კი ათდღიანი შეკრება გვქონდა საფრანგეთშივე, ვითამაშეთ სამი სპარინგ-მატჩი. ასე რომ, ეს მომზადებაც საკმარისი იყო უკეთესი ადგილის დასაკავებლად.

**— ბიჭები ჩივიან, უელსთან და იაპონიასთან მსაჯი აშკარად არაობიექტურად მოქმედებდაო. მიზეზობენ თუ მართალია?**

— მე მსაჯობაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

**— გასაგებია, მაგრამ თქვენი აზრი გვაინტერებს.**

— დიახ, იყო მომენტები, როცა ალბათ თვითონ მსაჯმაც არ იცოდა, რატომ გვაჯარიმებდა. თან ამას აკეთებდა ისეთ ეპიზოდში, როცა უპირატესობას ვფლობდით და მეტოქეს ვჯობდით. მსაჯმა განსაკუთრებით იაპონიასთან გამოიდო თავი, ცხადია, იმათ სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენი დამარცხების მთავარი მიზეზი ეს არ არის.

**— შარშანდელთან შედარებით, საქართველოს ნაკრებმა რაში მოუმატა და რაში მოუკლო?**

— ვერ ვიტყვი, რომ შარშანდელთან შედარებით რამეში თვალშისაცემად მოვუმატეთ ან პირიქით. პროგრესი არის, მაგრამ კიდევ მეტია საჭირო. მოვიკოჭლებთ ფეხით თამაშში, ამ მხრივ ჩვენს მეტოქეებს ნაკლები პრობლემები ჰქონდათ. ისე კი, შარშანდელი და წლევანდელი გუნდები რომ შევადაროთ, სხვაობა ის არის, რომ შარშან უფრო შეთამაშებული და გამოცდილი ნაკრები გვყავდა, ვიდრე წლეულს.

**— წლეულს რომელ მეტოქესთან გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?**

— არავისთან. ყველასთან თანაბრად ვითამაშეთ და, რაც მთავარია, თავისუფლად. რომელიმე მეტოქის შიში ან რიდი არ გვქონია. თანაც ბიჭები დავაჯერე, რომ მათ შეეძლოთ უელსის დამარცხება. მართალია, მათ ეს ვერ შეძლეს, მაგრამ, სამაგიეროდ, საკუთარი თავის ირწმუნეს და დარჩენილი მატჩები ძალიან კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით რუსეთთან მატჩი მინდა გამოვყო. რუსები გაორმაგებული ჟინით და ჯიგრით გვიტევდნენ. ჩვენ დაცვაში მწყობრად ვიდექით და, რომ იტყვიან, ჩვენს დროს ველოდებოდით. გაგვიმართლა, ისინი ქაოსურად გვიტევდნენ, ჩვენებმა კი შეცდომებზე დაიჭირეს და ჭკუა ასწავლეს. მატჩის შემდეგ რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა მითხრა, ქართველებმა იცით, როგორ უნდა მოგვიგოთო.

**— თქვენებიდან ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

— არა, ყველამ კარგად ითამაშა და არ მინდა, ვინმე გამოვყო. თუ რგოლების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენს შერკინებას აღვნიშნავდი. მინდა, ყველამ იცოდეს, ჩვენი ბიჭების შერკინებამ, დაწყებული უელსით, დამთავრებული იაპონიით, ყველას შერკინებას ერთი თავით აჯობა.

**— ხომ არ გამოჩენილა მორაგბე, რომელსაც ახლო მომავალში ეროვნულ ნაკრებში შეეძლება თამაში?**

— დიახ, არიან ასეთები. არ შევჩერდები მამუკა გორგოძესა და გიორგი ელიზბარაშვილზე. მათ უკვე ითამაშეს ეროვნულ გუნდში. მე სორელს ვურჩევდი, რომ ყურადღება მიაქციოს ბათუმელ არჩილ ალიქაძეს. აჩიკო პირველხაზელია და მთელი ტურნირი მშვენივრად ითამაშა. თუმცა სორელმა ალიქაძე უელსთან მატჩში ნახა და მასაც ძალიან მოეწონა, ასე რომ, მან უკვე იცის, რა შეუძლია ალიქაძეს.

**ბაჩო სვანიძე**

### კალათბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

22 აპრილი. რუსთავი

**აზოტი 88:91 სტუ**

17:25, 24:14, 23:25, 24:27

აზოტი: არწივიძე (3), ჩაჩუა (2), გოგობერიშვილი (22), ბერუაშვილი (7), მაჭარაძე (7); ტყეშელაშვილი (20), დანელიანი (9), ჯიმშელეიშვილი (6), ლიპარტელიანი (7), გოგსაძე (5)

სტუ: ტულუში (15), ხეცურიანი (20), ლოსაბერიძე (18), ტუჯანი (19), მუშკუდიანი (16); ნოზაძე (2), ლაფანაშვილი, გაგნიძე (1), ოთიურიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი; კომისარი: როლანდ ხომერიკი

# მცირე აზოტი რეაქციაში შევიდა

## ბავშვებს მადა თამაშში მოუვიდათ

გუშინდელი მარცხი ალბათ დიდად არ დასწყვეტდა გულს რუსთაველებს. „აზოტი" თითქმის სათადარიგო შემადგენლობით ეთამაშა მასზე გაცილებით ამბიციებურ „სტუ-ჯეოსელს", ტოლი არაფერში დაუდო და ცოტაც რომ გამართლებოდა, ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს კარსმომდგარი პლეი ოფის წინ ცუდ ხასიათზე დააყენებდა.

გამარჯვება რუსთველებზე მეტად სტუდენტებს სჭირდებოდათ. „აზოტი" მეოთხე ადგილს მაინც ვერ ასცდება, სტუ კი მეორეობისთვის „ბასკოს" ეჯიბრება, რათა მასთან მოედნის უპირატესობა მოიპოვოს სავარაუდო ნახევარფინალისთვის. სტუდენტების ეს მატჩი რომ წაეგოთ, სამეორეადგილო ოცნება დაემსხვრეოდათ, ახლა კი ისინი „დინამოს" ბათუმში ძლევის იმედზე არიან.

სათადარიგო შემადგენლობით ითამაშესო და ბარემ რუსთაველთა ტრავმირებულებსაც ჩამოვთვლით. დაშავებულ ნუგზარ კოკოლიშვილს, ირაკლი ჯაფარიძეს, ზაზა გაბისონიასა და კახაბერ კილაძეს ამ შაბათს აზოტელთა ლიდერი არჩილ ჟღენტიც შეემატა. ამას დაამატეთ „აზოტის" „სიმბოლო" რამაზ გოგობერიშვილიც, რომელმაც ახალგაზრდებს „შანსი მისცა" და მეორე ტაიმის დასაწყისში მოედნიდან საბოლოოდ გავიდა. საკუთარი თავის იმედად დარჩენილმა „აზოტის" ახალგაზრდობამაც ივაჟკაცა, ტოლი არაფერში დაუდო ეროვნულ ჩემპიონატში გამობრძმედილ სტუელებს და ფიცხელ ბრძოლაში, უკანასკნელ წამებზე დათმო მატჩი.

არადა, დასაწყისში მხოლოდ „აზოტის" ბრმად ოპტიმისტი ქომაგი თუ იფიქრებდა, მოგების შანსი ბოლო წამამდე შეგვრჩებაო. სტუ-ს ფეხმარდმა ბიჭებმა — შიო ხეცურიანმა, ლაშა ლოსაბერიძემ და კოტე ტულუშმა თავიდანვე დაუბევეს უპირატესობა თბილისელებს. მეორე მეოთხედის განახლებიდან ორიოდ წუთში სტუდენტები უკვე 16 ქულას იგებდნენ და ბევრმა იფიქრა, „აზოტი" განადგურდებაო. ალბათ ეს იფიქრა სტუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმაც და მოედანზე სათადარიგოები შეუშვა. ეს იყო და, „აზოტმა" სიჩქარე აკრიფა, 6-წუთიანი მონაკვეთი ისე გაირბინა, თავის მოქაფულ 22 ქულის წილ სტუდენტებს ოდენ ქულა ჩააგდებინა და გვარიანად წინ გაჭრილი სტუ მდევრად აქცია.

გაუგებარია, ჭეიშვილმა რატომ არ დააბრუნა მოედანზე ძირითადის მოთამაშეები მაშინ, როცა მეოთხედის ნახევარზე მეტი გაილია და მის სტუ-ს ქულა ვერ ჩაუგდო. ეს სტუდენტთა თავკაცმა საბოლოოდ ტაიმის მიწურულს გადაწყვიტა, თუმცა „აზოტი" მაინც ლიდერად გავიდა დიდ შესვენებაზე.

თამაშის განახლებისთანავე სტუდენტთა ფორვარდებმა „აზოტის" ფარზე მიიტანეს იერიში, მაგრამ რუსთაველთა დაცვით ზღუდეს ვერ არღვევდნენ. თამაში გათანაბრდა, ბოლო წუთებამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიხელთა საიმედო ლიდერობა. „აზოტის" სამარქაფოებს — ლევან ტყეშელაშვილს, იური დანელიანს, ილია გოგსაძეს მადა ჭამაში მოუვიდათ და ზუსტი სამქულიანებითა თუ სწრაფი გარღვევებით შანსს უნარჩუნებდნენ ქვემოქართლელებს.

რუსთაველები არც მაშინ დანებდნენ, ჟოლივეტ ტუჯანის აქტიურობამ საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე სტუ 8 ქულით რომ დააწინაურა. სრულიად ახალგაზრდა ილია გოგსაძემ ღრიულად იყოჩაღა და სხვაობა 3-მდე შეამცირა. რუსთაველებს მატჩის გადასარჩენად 25 წამი რჩებოდათ, მათაც იყოჩაღეს, სტუდენტებს ბურთი ჩაუჭრეს, მაგრამ იმავ გოგსაძის სირენის თანხლებით ნასროლი სამქულიანი თბილისელთა კალათს ასცდა.

**ირაკლი პერტაია რუსთავიდან**

| საჭურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 32 | 25 | 7 | + 492 | 57 |
| დინამო | 30 | 26 | 4 | + 647 | 56 |
| ბასკო | 29 | 23 | 6 | + 684 | 52 |
| აზოტი | 32 | 20 | 12 | + 85 | 52 |
| თსუ | 32 | 18 | 14 | + 115 | 50 |
| აკადემია | 32 | 7 | 25 | - 427 | 39 |
| მაკაბი | 32 | 7 | 25 | - 617 | 39 |
| სსუ | 30 | 7 | 23 | - 605 | 37 |
| ქუთაისი | 29 | 6 | 23 | - 374 | 35 |



„აზოტის" თავკაც ოთარ ხმელიძეს ნიჭიერი შეგირდები არ ელევა

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძეს **მამის** გარდაცვალების გამო

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" თანაუგრძნობს გამოჩენილ მოჭადრაკეს მაია ჩიბურდანიძეს **მამის** გარდაცვალების გამო

### ხელბურთი

### მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ვაჟები

მე-3 შესარჩევი ჯგუფი. ლუქსემბურგი

# ჯუჯა, ჯუჯა, ნაჯუჯარი

## საქართველოს ლუქსემბურგიც უგებს

**საქართველო 32:37 ლუქსემბურგი**
**დანია 36:21 ბელგია**
**საქართველო 28:39 ბელგია**
**დანია 44:20 ლუქსემბურგი**
**საქართველო 27:51 დანია**
**ბელგია 25:20 ლუქსემბურგი**

უკვე მერამდენედ შერცხვა ქართული ხელბურთი. უცხოეთის ტურნირები გვაქვს მხედველობაში, თორემ ჩვენში აღარაფერი ტარდება, ეროვნული ჩემპიონატიც კი. ასე რომ, შინ თავმოსაჭრელი არაფერი დაგვრჩა.

როგორ პირობებში ემზადებიან და რა მათხოვრულადაც ახერხებენ საქართველოს ნაკრებები შეჯიბრებებზე გამგზავრებას, არაერთხელ გვითქვამს. ახლაც ასე იყო — პრიმიტიული ვარჯიშ-მზადება უშეკრებოდ, თბილისიდან გაუსვლელად და ლამის წასვლის წინა დღეს ნაშოვნი ფული. შედეგიც, ბუნებრივია, ძნელი გამოსაცნობი არაა — ტრადიციული ბოლო ადგილი.

ლუქსემბურგშიც, ცხადია, იგივე განმეორდა: ქართველთა ახალგაზრდულმა გუნდმა სამივე თამაში წააგო და ჩვეულ, ბოლო ადგილზე დარჩა. უბედურებაა, რომ დანიელებთან, თუნდაც ფავორიტებთან, არანორმალური, 24-ბურთიანი სხვაობით დამარცხდნენ, ხოლო უფრო მწარე ჯუჯა ლუქსემბურგთან წაგებაა. მოსახლეობით ათჯერ ნაკლები ჯუჯელებიც კი გვჯობნიან, რადგან საქმეს ათჯერ უფრო ჭკვიანურად უძღვებიან.

ორ თვეში მორიგი თავსლაფი გველის — საფრანგეთში ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია, სადაც ჩვენებს მეტოქეებად იტალიელი, ფრანგი და ჩეხი თანატოლები ეჯ ელებათ.

| საჭურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 0 | 0 | 131:68 | 6 |
| ბელგია | 2 | 0 | 1 | 85:84 | 4 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 2 | 77:101 | 2 |
| საქართველო | 0 | 0 | 3 | 87:127 | 0 |



ნიკა ცქიტიშვილი მაიკლ ჯორდანისა და სხვა ვარსკვლავთა გვერდით ჯერაც პირველკლასელად გრძნობს თავს

*ვინც მოითმენს, ის მოიგებს. ამ ლოზუნგით ცხოვრობენ დღეს „დენვერში". არაერთი სპეციალისტი უკიჟინებს „ნაგიტსის" ხელმძღვანელობას, დრაფტზე ნიკოლოზ ცქიტიშვილის მე-5 ნომრად აყვანა შეცდომა იყოო, მაგრამ დენვერელები იხტიბარს არ იტეხენ და ბოლომდე, იქნებ ბრმადაც სჯერათ, რომ „სკიტას" ვარსკვლავიც ამობრწყინდება. ამ სეზონში ეს ვარსკვლავი ოდნავაც ვერ ამოიწვერა ნბა-ს უკიდეგანო ჰორიზონტზე, მაგრამ წინ მომავალი სეზონია და დენვერშიც იმედიანად არიან. „ნაგიტსის" მესვეურთა ასეთი განწყობა კარგად ჩანს კოლორადოულ გაზეთ „როკი მაუნთინის" ამ წერილში*

# ამერიკა ჩვენს იმედს ალონიერებს

## ცქიტიშვილი დაასვენეს, რათა დაღალონ

**კრის თომასონი**
ROCKY MOUNTAIN NEWS

ყველა საჭიროებს დასვენებას, მათ შორის ნიკოლოზ ცქიტიშვილიც. „დენვერის" ახალბედასაც საკუთარი გეგმები აქვს, ის ჰავაიზე გაფრინდა.

ბოლო ექვს თვეში 213-სანტიმეტრიანი ცქიტიშვილი ლიმონივით გამოიწურა. იგი მზად არ აღმოჩნდა ნბა-ში სათამაშოდ, მაგრამ „დენვერის" მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი, რომელიც მომავლის გუნდს აშენებს, საკმაოდ ბევრს ათამაშებდა გამოუცდელ ახალგაზრდას.

„რამდენი მატჩი იყო, საშინლად ბევრი, მე არ ვიყავი ამისთვის მზად" — ამბობს ნიკა.

ცქიტიშვილმა ერთის გარდა რეგულარული ჩემპიონატის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა. მისი სათამაშო მაჩვენებლები შთამბეჭდავად ვერ გამოიყურება. ნიკა საშუალოდ 16,3 წუთს ატარებდა მოედანზე და 3,9 ქულასთან ერთად 2,2 მოხსნას აკეთებდა. მისი ჩაგდებულ სროლათა პროცენტული მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია — 293.

„საკმაო ხანს ვფიქრობდი, პატარა ბავშვივით ვარ და სკოლაში მოვხვდი-მეთქი. თითქოს პირველ კლასში ნულიდან ვიწყებ სწავლას" — გულახდილია „სკიტა".

სანამ ცქიტიშვილი ამერიკულ კალათბურთში პირველ ნაბიჯებს დგამდა, „დენვერის" მეორე ახალბედა, დრაფტის მე-7 რჩეული, ბრაზილიელი ნენე ილარიო ყოჩაღობდა. ცქიტიშვილიც და ილარიოც უცხოელები არიან, მათ არასდროს უთამაშიათ სტუდენტურ ლიგაში, ესაა, ბრაზილიელის სხეული ქართველზე მეტად მომზადებული აღმოჩნდა ნბა-ს დაკუნთულებთან საჭიდაოდ.

ამიტომაც „დენვერის" ამოცანა ცქიტიშვილის გაათლეტურებაა. გუნდი მას მხოლოდ სამი კვირით ათავისუფლებს, მერე კი სატრენაჟოროში გამოამწყვდევს და მანამ არ გამოუშვებს იქიდან, სანამ ქართველი 7 კილოგრამამდე მაინც არ მოიმატებს. თუმც მხოლოდ ცქიტიშვილის წონის მომატებაზე როდი ფიქრობენ „დენვერში". მას პრაქტიკა სჭირდება და „სკიტაც" საზაფხულო ლიგების მუდმივი სტუმარი იქნება.

„ის ახლა ძალიან კაფანდარაა — ამბობს ბზდელიკი ცქიტიშვილზე — არც გამოცდილება აქვს საკმარისი. ჩვენ მის მომძლავრებას ვცდილობთ, ოღონდ ისე არ უნდა გავაკეთოთ, რომ ნიკს თავდაჯერება, გამბედაობა დავუკარგოთ. მან ამ სეზონში 1320 წუთი ითამაშა, რაც გაცილებით მეტია იმაზე, რამდენიც თავის კარიერის მანძილზე უთამაშია".

„დენვერში" ფიქრობენ, რომ მომავალი წლის მეტი ხანიც ცქიტიშვილის დაოსტატებაში გაილევა. გუნდის პრეზიდენტ კიკი ვანდევეიჯის თქმით, „სკიტა" ვერც მომავალი სეზონის დასაწყისში წარმოაჩენს თავს ისე, როგორც მისი მონაცემების კალათბურთელს შეეფერება.

„ჩემი აზრით, მომავალი სეზონის პირველი ნახევარი კვლავაც რთული იქნება ცქიტიშვილისთვის — ვარაუდობს ვანდევეიჯი — მაგრამ მეორე ნახევარში თქვენ ნახავთ, თუ როგორ ათამაშდება ის. ჩვენ ამის გვჯერა".

ცქიტიშვილს, უფრო სწორად, „დენვერს" სპეციალისტთა შორის რამდენიმე კრიტიკოსი გამოუჩნდა. მათ არ მოსწონთ ის, რომ „ნაგიტსმა" ამარე სტუდემაიერს, კერონ ბატლერს და დეჟუან ვაგნერს ცქიტიშვილი ამჯობინა.

„მე არ მაინტერესებს, რას ხალხი ფიქრობს. ჩემს თავში დარწმუნებული ვარ. მხოლოდ მოთმინებაა საჭირო და ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ" — იმედიანადაა „სკიტა".

დღესდღეობით ეს მომთმენი ახალგაზრდა ჰავაის მაცოცხლებელ მზეს ეფიცხება.

**NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე**

# ინდიანას ჯონსი ისევ რეჯი მილერია

## აღმოსავლეთი

21 აპრილი

### ინდიანა 1:1 ბოსტონი

#### ინდიანა 89:77 ბოსტონი

**ინდიანა: ტინსლი (15), რ. მილერი (18), არტესტი (13), ონილი (23 ქულა, 20 მოხსნა), ბ. მილერი (10); კროშერი (6), სტრიკლენდი (2), მერსერი (2), ჰარინგტონი, ფოსტერი**
**ბოსტონი: დელკი (12), უილიამსი (4), პირსი (14), უოლკერი (19), ბათი (8 ქულა, 11 მოხსნა); მაკარტი (16), ბრემერი (4), ბლუნტი, ლონგი**

„ინდიანა" დროულად მოეგო გონს. შაბათს საწყის მატჩში „ბოსტონთან" დასანანი წაგების შემდეგ, მეორე თამაშში, მობილიზება შეძლო და ორშაბათს სერიაში ანგარიში გაათანაბრა. „ინდიანაზე" ითქმის, საკუთარ შეცდომებზე სწავლობსო. აიზია ტომასის შეგირდებმა ყველა ხარვეზი გაასწორეს და „ბოსტონს" ისეთი გლუვი პირით დახვდნენ, „კელტებს" ფეხი დაუცდათ. სტუმრებმა ყველაზე უფრო ბებერ მასპინძელ რეჯი მილერზე წაიტეხეს კისერი.

მხცოვანი სნაიპერი რეჯი მილერი უკვე მაგრად არის დაბერებული საპლეიოფო ომებისთვის, ყოველ შემთხვევაში, ის და მისიანები ასე თვლიან და საკმაოდ გაახალგაზრდავებული „პეისერზი" ძველი ლიდერის გარეშე თამაშს სწავლობს. მილერიც სულ უფრო და უფრო მცირე ხნით ჩნდება მოედანზე და „ბოსტონთან" პირველ მატჩშიც მხოლოდ 29 წუთით „შეყოვნდა" ფიცარნაგზე (13 ქულა ჩააგდო), თან ბოლო მეოთხედში ძირითადად სკამიდან ადევნებდა თვალყურს, როგორ იზნიქებოდა მისი გუნდი მეტოქის მასირებული შტურმისას.

ამ ჯერზე რეჯიმ მეტი ხნით, 37 წუთით ითამაშა და გაცილებით იაქტიურა. ხალხიც ითხოვდა ამას. ინდიანაპოლისელები სწორედ რომ რეჯის მიიჩნევენ გუნდის ლიდერად და ხალხმავე მოსთხოვა მილერს, გადამწყვეტ ეპიზოდში სამქულიანი ესროლა. „ბოსტონი" ამ დროს საბოლოო იერიშს ამზადებდა და მილერის სამქულიანის შემდეგ სულიერად დაეცა. „რეჯი ყოველთვის კარგად გრძნობს თამაშის მაჯისცემას და ახლაც უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო" — ამბობდა მასპინძელთა მწვრთნელი აიზია ტომასი. თავად მილერმაც არ გამოიჩინა უადგილო თავმდაბლობა და არ უარყო თავისი სამქულიანის მნიშვნელობა, მაგრამ ისიც თქვა, ხალხი რომ არა, იქნებ არც მესროლაო. თამაშის შემდეგ მან მადლობაც მოუხადა ქომაგებს, რომლებსაც ჯერაც სჯერათ მისი.

რეჯი მილერის ქებას შევყევით და ლამის დაგვავიწყდა, რომ მან მარტომ არ მოუგო „ბოსტონს". „ინდიანას" ნამდვილად წაადგა ჯერმენ ონილის 23 ქულა და უფრო მეტად 20 მოხსნა, რაც კლუბის საპლეიოფო რეკორდის გამეორებაა. აგრეთვე ივაჟკაცა რონ არტესტმა, რომელმაც ამჯერად ბოლომდე გააჩერა „ბოსტონის" ლიდერი პოლ პირსი. წინა მატჩის გმირმა, მაშინ 40 ქულის ჩამგდებმა პირსმა ამ ჯერზე 14-ღა დასტყუა მასპინძელთა დაცვას. თუმც კი პირსი არად აგდებს ამ წაგებას, ამბობს, მთავარია, მეტოქის მოედანზე ორიდან ერთი თამაში მოვიგეთ. ახლა საქმეს შინ მოვამთავრებთო.

## დასავლეთი

### სან ანტონიო 1:1 ფინიქსი

#### სან ანტონიო 84:76 ფინიქსი

**სან ანტონიო: პარკერი (2), ჯეკსონი (23), ბოუენი (3), ფერი (6 ქულა, 10 მოხსნა), დანკანი (22 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება); როუზი (11), კლაქსტონი (10), ჯინობილი (7)**
**ფინიქსი: მარბერი (32 ქულა, 10 მოხსნა), ჰარდევეი (17 ქულა, 11 მოხსნა), მარიონი (6 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (5), უილიამსი (4); ჯონსონი (6), ვოსკული (6), აუთლოო, ჯეკობსენი**

წინა მატჩის შეცდომები აღარ გაიმეორა „სან ანტონიო სფურზმაც" და შეძლო, ორი შინაური თამაშიდან თავხედი სტუმრისთვის ერთი გამარჯვება წაეგლიჯა. ტეხასელებმა ვერც ამჯერად დაიჭირეს ქარი მინდორში. ფინიქსელთა ჩაუქმა გამთამაშებელმა სტივენ მარბერიმ კვლავ ინავარდა მასპინძელთა ხელების ტყეში და ტონი პარკერსაც და მის შემცვლელ სპიდი კლაქსტონსაც გაუსხლტა, მაგრამ ეს თამაში ისე ეფექტურად ვეღარ დააგვირგვინა, როგორც წინა.

სანანტონიოელებმა ყველა სხვა გზა შეკრეს, დანკანმა ამარე სტუდემაიერი გამოთიშა თამაშიდან, ბრიუს ბოუენმა — შონ მარიონი და „ფინიქსიც" მხოლოდ მარბერის ჩამოეკიდა. თამაში მაინც დაძაბული გამოდგა და გადამწყვეტი აღმოჩნდა „სფურზის" არგენტინელ სათადარიგო მანუ ჯინობილის სამქულიანი. ჯინობილიმ მატჩის დამთავრებამდე წუთით ადრე შორიდან გაისროლა და თავისი გუნდი ოთხი ქულით დააწინაურა. ფინიქსელთაგან ისევ მარბერიმ იმეცადინა. მან სწრაფი გარღვევა მოაწყო, მაგრამ ააცილა, ხოლო მასპინძლებმა დარჩენილ დროში ოთხი საჯარიმოს ჩაგდება მოასწრეს და სერიაში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს. ამჯერად ხელი არ აუკანკალდა „სფურზის" ლიდერ ტიმ დანკანს. მან ნახევარი წუთით ადრე ორივე საჯარიმო ჩააგდო და წინა მატჩის ოვერტაიმში ორი გაჭუჭყებული სროლა ასე გამოისყიდა.



სანანტონიოელმა მანუ ჯინობილიმ თამაში შვიდი ქულით დაასრულა, სამაგიეროდ, გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო

REUTERS სან ანტონიოდან

### საკრამენტო* 2:0 იუტა

#### საკრამენტო 108:95 იუტა

**საკრამენტო: ბიბი (10), კრისტი, სტოიაკოვიჩი (29), ვებერი (8), დივაცი (15); ბ. ჯეკსონი (15), ჯ. ჯეკსონი (11), პოლარდი (8), კლერკი (6), თურქოღლუ (2), ვოლესი (2), ფანდერბურკი (2)**
**იუტა: სტოქტონი (8), ჩინი (2), ჰარპრინგი (14), მელოუნი (15), ოსტერტაგი (4); კირილენკო (17), ჯეკსონი (14), მასენბურგი (12), აროიო (6), პადჯეტი (3)**

მაშინ, როცა პლეი ოფის შინ და უხეიროდ დამწყები გუნდები პირველი მარცხების შემდეგ სულის მოთქმას ცდილობენ, „საკრამენტო კინგზმა" კარგად გამოიყენა შინაური კედლები და „იუტა ჯაზთან" სერიაში 2:0 დაწინაურდა.

არადა, მეორე მატჩში „კინგზს" აკლდა მოზვერა ლიდერი კრის ვებერი, უფრო სწორად, თავიდან კი ჰყავდა, მაგრამ მერე დააკლდა. ვებერმა მეორე მეოთხედში ზურგი დაიშავა და მწვრთნელს შეცვლა სთხოვა. წესით, „იუტას" ეს შანსი არ უნდა გაეშვა ხელიდან, ვებერისავე ამპლუის (თავდამსხმელი) ბებერ იუტელს კარლ მელოუნს ახალგაზრდულად განავარდების შანსი გაუჩნდა, მაგრამ ვერ გამოიყენა, თუ არ გამოიყენა. მან თამაშიდან მხოლოდ 12-ჯერ შეუტია „მეფეთა" ფარს და შეხვედრა ოდენ 15 ქულით დაასრულა, რაც მისი მხრიდან თეთრი ბაირაღის აფრიალებად შეფასდება. არც მელოუნის ძველი დოსტი ჯონ სტოქტონი იყო ფორმაში...

ბებერი ლიდერების ვერლიდერობაში თავი გამოიდეს ახალგაზრდა იუტელებმა — ანდრეი კირილენკომ და მეტ ჰარპრინგმა, მაგრამ ესენიც ვერას გახდნენ მასპინძლებთან, რომლებიც უვებეროდაც გადასარევად ბურთაობდნენ, მეტადრე ორი სერბი — პრედრაგ ტოიაკოვიჩი და ვლადე დივაცი.

**ძოტე ყორშია**



ფინიქსელმა სტივენ მარბერიმ 32 ქულა მოიხვეჭა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სროლა ააცილა



# ნაიარევი ცხოვრება
## მე ვიყავი მონიკა სელეში

*ერთი კვირის შემდეგ, 30 აპრილს, ათი წელი შესრულდება იმ დღიდან, რაც რომ ჰამბურგულ ტურნირზე მოჩოგნავე მონიკა სელეშს ერთ-ერთი მატჩისას ტრიბუნიდან ვიღაც შლეგიანი გადაუხტა და დანით ზურგში დაჭრა.*

*მონიკა მაშინ ჯერაც ცხრამეტი წლის გოგონა იყო, მაგრამ ასაკისთვის შეუფერებლად და სარეკორდოდ ბევრი — 8 სლემტიტული მოეხვეჭა და ისე ჩანდა, მომავალი ათი წლის განმავლობაში ქალთა ჩოგბურთის ყველა დროის უდიადეს მეჩოგნედ უნდა ქცეულიყო. ვაგლახ — კორტზე 1995 წლის ზაფხულში დაბრუნებულმა მან ეგრეც ველარ შეძლო, თავისი ტიტულმარაგი თავისივე ნიჭის შესაბამისად გაემდიდრებინა და რვა სლემტიტულს მხოლოდ კინკილა სლემჯილდოლა შემატა. ჩვენი დასავლელი კოლეგები ქალთა ჩოგბურთის ვნებულ დედოფალს ამ დღეებში გაესაუბრნენ. საუბარი საინტერესო გამოდგა და მისი მოქართულებული ვარიანტის ნასაკითხად დახარჯული დრო, ვინძლო, არც სპორტის ჩვენებურ ტრფიალთ ეუქმოთ*

**— მონიკა, იმ დანის ნაკვალევი მხოლოდ თქვენს სხეულს ამჩნევია?**

— რასაკვირველია, არა. იმ დანის მიერ დატოვებული იარა ჩემს მეხსიერებას დღემდე არ მოშუშებია — მან ხომ ჩემი კარიერის საუკეთესო წლები წამართვა. სიმართლე გითხრათ, ის ამბავი ჩემთვის დღემდე რაღაც უცნაურ, გაუგებარ მოვლენად რჩება. მე ხომ ერთადერთი სპორტსმენი ვარ, ვისაც ოდესმე ასეთი რამე შემთხვევია.

ასე რომ, იმ უბედური ამბის გახსენება წარმოუდგენელ ტკივილს მაყენებს. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი უბედურება, რაც იმ წლებში თავს დამატყდა. ალბათ გახსოვთ, ჩემი დაჭრიდან ერთი წლის მერე მამაჩემი სიმსივნით დაავადდა. ის ოთხი წელი ებრძოდა სენს და 1998-ში გარდაიცვალა...

იმ ამბის შემდეგ პუბლიკა ჩემს მიმართ უფრო კეთილგანწყობილი გახდა. ამ ინციდენტის შესახებ ჩოგბურთიდან ძალზედ შორს მდგომმა ხალხმაც გაიგო. როცა დავბრუნდი, ისინი ასე ლაპარაკობდნენ: „ეს ის გოგო არ არის, კორტზე რომ დაჭრეს. საწყალი, კიდევ თამაშობს?“

მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი — მე არ მინდა, ვინმეს იმის გამო კუყვარდე ან იმის გამო ვესიმპათიურებოდე, რომ ოდესღაც ასეთი უბედურება დამმართნია. მე მინდა, ხალხს ისეთი მოვწონდე, როგორიც სინამდვილეში ვარ, იმ თვისებების გამო მაფასებდეს, რაც მშობლებმა ბავშვობიდანვე ჩამინერგეს. მე ძალიან მეამაყება, რომ ასეთი ვარ, ჩემი მშობლების მსგავსი და არა სხვანაირი. როცა გავთხოვდები და შვილები მეყოლება, ვეცდები, ისინიც ისე გავზარდო, როგორც მე ჩემი მშობლები მზრდიდნენ.

მე ძალიან მიყვარს თამაში. ჩოგბურთი ჩემი სიცოცხლეა და სწორედ მან შემაძლებინა, ცხოვრების ურთულეს მომენტებში ხალისი არ დამეკარგა, მარადიულ სევდას არ დავნებებოდი.

**— რა როლი შეასრულეს თქვენმა მშობლებმა თქვენი, როგორც ჩოგბურთელის ჩამოყალიბებაში?**

— მამაჩემი საერთოდ არ გეგმავდა იმას, რომ ჩოგბურთელი გავმხდარიყავი. ის რაციონალური კაცი იყო — ერთდროულად რამდენიმე საქმეს არ ეჭიდებოდა, ჯერ ერთს შეასრულებდა და მხოლოდ ამის მერე გადადიოდა მეორეზე. სხვათა შორის, მეც ზუსტად ასეთი ტიპი ვარ.

მამა უფრო ჩემი უფროსი ძმის, ზოლტანის საჩოგბურთო მომავლისთვის ზრუნავდა. ზოლტანი ჩემზე რვა წლით უფროსია. ის უნიჭიერესი ბიჭი იყო — მთელი ოჯახის ტალანტთა განსახიერება. მენდეთ, ოდნავადაც არ ვაჭარბებ — ის მართლაც დიდი მოთამაშე უნდა ყოფილიყო. მისი თაობელების, ბორის ბეკერისა ან სტეფან ედბერგის დარი. მამაჩემს ძალიან უნდოდა, ზოლტანს დიდი ჩოგბურთი ეთამაშა. მე კი თავიდან სათვალავში არავინ მაგდებდა...

თუკი ზოლტანი ძალიან ნიჭიერი იყო, მე შრომის ეთიკა მქონდა. გამოცდილებამ ერთ რამეში დამარწმუნა — ოდესმე შვილები თუ მეყოლა, და მათგან ერთი ძალიან ნიჭიერი იქნა, მეორე კი — დისციპლინირებული და შრომისმოყვარე, ჩოგბურთზე სწორედ მეორეს შევიყვან. მარტო ზოლტანის მაგალითიც იკმარებდა იმის საილუსტრაციოდ, რომ მხოლოდ ნიჭით შორს ვერ წახვალ...

ზოლტანი ახლა თავისთვის ცხოვრობს. არ სურს, ხალხი მას იცნობდეს ისე, როგორც მონიკა სელეშის ძმას. არ უნდა, ჩემი დიდების შუქში იყოს მოქცეული... მე მესმის მისი და პატივს ვცემ მის არჩევანს.

**— იქნებ უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ, როგორ იწყებოდა თქვენი საჩოგბურთო კარიერა.**

— ნოვი სადში მრავალსართულიან სახლში ვცხოვრობდით. მამაჩემი პროფესიონალი მულტიპლიკატორი იყო. ძალიან შეკრული ოჯახი გვქონდა და, რაც მთავარია, სპორტზე ვაფრენდით. მამა თავის დროზე სამხტომზე დადიოდა და სპორტისადმი განსაკუთრებული ინტერესი ოჯახში სწორედ მან გააღვივა.

ჩოგბურთის თამაში შვიდი წლისამ დავიწყე — საათობით ვუბრახუნებდი ხოლმე სახლის კედელს. ვერ წარმოიდგენთ, რა მადლიერებით ვიგონებ იმ მეზობლებს, ამ ბრახა-ბრუხის მიუხედავად ჩემთვის ერთხელაც რომ არ უსაყვედურიათ... როცა მოგვიანებით ფლორიდაში საკუთარი სახლი ავიშენეთ, მშენებლებს აუცილებელ პირობად დავუთქვი ვეება საბრახუნო კედლის აგება... როცა ტურნირებზე ჩავდივარ, პირველ რიგში სწორედ ასეთ კედელს ვეძებ ხოლმე.

კედელი ჩემი უსაყვარლესი პარტნიორია. მასთან ჩოგნაობისას არავინ ხელს არ გიშლის, როგორც გინდა, ისე უბრახუნებ, შეგიძლია, მუსიკასაც მოუსმინო, თანაც — ბურთი ყოველთვის უკან გიბრუნდება. არა, კედელს ვერაფერზე გავცვლი...

**— შრომის ეთიკის გარდა, კიდევ რამ განაპირობა თქვენი წარმატებები?**

— აბა, ვინ იცის? ნაღდად რაც ვიცოდი, უკვე გითხარით... მე არ მიყვარს ტვინის ჭყლეტა, რაღაცაზე გაუთავებლად ფიქრი, გაანალიზება, გადმოანალიზება. ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია, და ვცდილობ, მატჩის დროს გავიმეორო ყველაფერი ის, რაც ვარჯიშისას მიკეთებია. ეგ არის და ეგ. ზედმეტი ფსიქოლოგიზება ჩემი სტილი არ არის.

მამასთან ერთად ყველაფერი უფრო მხიარულად იყო. მან იცოდა, როგორ ექცია შრომა სახალისოდ. მაგრამ ჩოგბურთით ჩემს გატაცებას ოჯახში კონფლიქტებიც ახლდა. დედას მაინცდამაინც არ ხიბლავდა ის პერსპექტივა, რომ მისი ქალიშვილი ჩოგბურთელი უნდა გამხდარიყო. ის სულ იმას ჩამჩიჩინებდა, უფრო მეტი დრო ჩემს გოგოშკა მეგობრებთან ურთიერთობებისთვის დამეთმო. მამა კი ასე ფიქრობდა: „თუკი მონიკას ყველაფერს საათობით ვარჯიში ურჩევნია, ეს მისი საქმეა, ჩვენ მას ხელი არ უნდა შევუშალოთ.“

**— როგორ ფიქრობთ, ყველა ოჯახი ერთმანეთს ჰგავს?**

— ვფიქრობ, რომ ყველა ოჯახი განსხვავებულია. მე ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი განსხვავებული მშობლები მყავდა. მათ არასოდეს შეუზღუდავთ ჩემი არჩევანი — ისინი მაძლევდნენ რჩევებს, მამარაგებდნენ ინფორმაციით, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მე უნდა გადამეწყვიტა. სწორედ მე გადავწყვიტე, რომ ჩემი ცხოვრება ჩოგბურთთან დამეკავშირებინა.

**— მამა ყოველთვის თქვენს გვერდით ჩანდა, დედას კი მხოლოდ ტრიბუნაზე თუ დავინახავდით.**

— ჰო, დედა ყოველთვის სცენის მიღმა ყოფნას ამჯობინებდა. ერთი-ორჯერ მან სცადა და ტურნირებზე გამომყვა, მაგრამ გასახდელებში ბოდიალი და ლოდინი მალე მობეზრდა. ამიტომ, როცა მე ვმგზავრობ, ის შინ რჩება — ჩვენ საყვარელ ძაღლუკებთან ერთად. განსაკუთრებით იორკშირული ტერიერი, არიელი უყვარს — სულ მოხარშული დედლებით უმასპინძლდება! დიდი სიყვარული აქვთ... როცა გავიგეთ, რომ ლინდსი დევენპორტს თავისი ერთ-ერთი როტვაილერისთვის ზოლტანი დაურქმევია, მაგრად ვეჩხუბე...

**— როგორია თქვენი „ოფიციალური“ იდენტობა? რომელი ეთნოსს მიაკუთვნებთ თავს?**

— წარმოშობით უნგრელები ვართ — დედას და ძმას უნგრულად ველაპარაკები. მაგრამ რეალურად მსოფლიოს მოქალაქე ვარ. რასაკვირველია, დღესაც ბევრი მეგობარი მყავს, რომლებთანაც სერბულად ვურთიერთობ, აქეთ კი — მთელი ჩემი ამერიკული სამყაროა. ჰო, ჩემს იდენტობას ალბათ ეს სამი ელემენტი განსაზღვრავს... ოღონდ როცა თამაშს შევეშვები, უფრო მეტ დროს ალბათ იქ გავატარებ, სადაც გავიზარდე.

**— გჯერათ ბედისწერის?**

— არ მინდა, ამაზე გიპასუხოთ. (პაუზა) იცით რა, ამაზე პასუხი ჩემს იმდენად შინაგან რამეებს შეეხება, რომ არ მინდა, ჩემს გარდა ამაზე კიდევ ვინმემ იცოდის. არ გიპასუხებთ, კარგი? აი, რატომ მიყვარს ამერიკა...

**— ამერიკაში, ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში სულ ნორჩი ჩახვედით, არ გაგიჭირდათ იუგოსლავიისგან აბსოლუტურად განსხვავებულ გარემოსთან შეგუება?**

— ცხადია, გამიჭირდა. ენა არ გესმის, სკოლა სულ სხვანაირია... ეს ჩემი ცხოვრების ერთი ყველაზე უმძიმესი პერიოდი იყო, მახსოვს, ყოველ ღამე შინ დაბრუნებაზე ვოცნებობდი... მაგრამ, მეორე მხრივ, რაც მინდოდა, ყველაფერი მქონდა. ამერიკამდე მე ხომ ვერც კი წარმომედგინა, ჩოგბურთის თამაში ზამთარშიც შესაძლებელი რომ იყო.

მაშინ 12 წლისა ვიყავი. მალე ფლორიდაში მშობლებიც დასახლდნენ და ამ მხრივ სადარდებელი აღარაფერი მქონდა. დრო ძალიან ერთფეროვნად გადიოდა — სკოლიდან კორტამდე, კორტიდან სახლამდე და ასე შემდეგ. სწავლით და ვარჯიშით ისე ვიღლებოდი, საღამოობით გართობის თავი აღარ მქონდა. მოუთმენლად ველოდებოდი კვირას, რათა ცოტა მაინც ამომესუნთქა.

**— რა ურთიერთობა გქონდათ ნიკ ბოლეტიერისთან?**

— ნიკს უყვარს ჩოგბურთი, მან მთელი თავისი ცხოვრება შესწირა ჩოგბურთს. ისიც და მისი თანაშემწეებიც ბევრს ზრუნავდნენ ჩემზე, ბევრ დროს მითმობდნენ, მაგრამ ჩემი მთავარი მწვრთნელი — მეპატიოს, თუკი ოდნავ მიკერძოებულად გამომდის — მაინც მამაჩემი იყო.

მამა ძალიან ბევრს მუშაობდა, საათობით იჯდა ვიდეოსთან, სწავლობდა ჩემი მეტოქეების და ჩემს თამაშს... მისი შრომისმოყვარეობა დღემდე სამაგალითოა ჩემთვის. როცა ვარჯიშზე 100-ჯერ მაინც მოვაწვდი, ერთი სული მაქვს, ჩოგანი მოვისროლო და ჩრდილში ჩამოვჯდე, მაგრამ იმ წუთასვე მამას ვიხსენებ — ვიცი, [illegible] 500-ჯერ მაინც მოაწვდიდა.

**— თქვენ რაკეტასავით შევარდით ქალთა ამქარში და 1992 წლიდან მოყოლებული თქვენი მძლეველი აღარავინ ჩანდა. როგორ იგონებთ იმ პერიოდს?**

— იცით, წარსულში ყურება ძალიან არ მიყვარს. ეს ცოტა საშიში საქმეა. მაგრამ იმის გახსენება, რომ წლის განმავლობაში, დიდი-დიდი, ორი-სამი მატჩი წამეგო, მართლაც მაგრად ასწორებს... მაშინ საარაკოდ ბევრს ვმუშაობდი, სულ მობილიზებული ვიყავი. მატჩების მოგება მთელ სიცოცხლედ მიღირდა და, სიმართლე გითხრათ, იმ დროს ყველაფერი ალჩუზე მეჯდა...

მაგრამ ისე არ გამიგოთ, თითქოს მაშინ წაგებაზე სულ არ ვფიქრობდი, პირიქით, ყოველი მატჩის წინ ასეთი ფიქრები მესეოდა: „აი, ახლა კი ნაღდად წავაგებ!“. ხოლო ყველაზე უარესი ის იყო, რამდენიმეთვიანი პარპაშის შემდეგ მოულოდნელად რომ მძლევდნენ. „ღმერთო, ახლა რა მეშველება?“ — ვფიქრობდი მაშინ.

ყველაზე ძნელი კი მაინც მორევის, დაჯაბნის მომენტია, როცა კორტზე გასული მოვალე ხარ, მეტოქე მოაშთო, დაიმორჩილო, მოკლა... ამ თვალსაზრისით, კორტზე ყოველთვის ჩემი ნამდვილი მე-ს საპირისპირო ორეული გამოდის, დიამეტრალურად განსხვავებული იმისგან, რაც კორტის გარეთ ვარ. კითხეთ, ვისაც გნებავთ — ცხოვრებაში მეომარი სულაც არა ვარ. პატივი, დიდება — ეგ ყველაფერი სულ ფეხებზე მკიდია.

**— ვინ არიან თქვენი სათაყვანო მეჩოგნეები?**

— ფრანგი სიუზან ლანგლენი და ამერიკელი მორინ ოკონოლი. ჩოგბურთს ორივემ გამორჩეული ხიბლი შესძინა. თუმცა ჩემზე უდიდესი გავლენა მაინც ბილი ჯინ კინგმა და მარტინა ნავრატილოვამ მოახდინეს. როცა პატარა გოგო ვიყავი, მარტინას პლაკატი საწოლის თავზე მეკიდა. პატარაობისას ჩემი არჩევანი ძალზედ მწირი იყო — ჩვენ ერთადერთი იტალიური ჟურნალი მოგვდიოდა და უცხოელ კერპთა ფოტოებსაც იქიდან ვიღებდით.

**— ყველაზე ხშირად თქვენს რომელ შეხვედრებს იგონებთ?**

— უპირველესად, 1990 წელს რომში მარტინა ნავრატილოვასთან მოგებული მატჩი მაგონდება. ეს ალბათ ჩემი საუკეთესო თამაში იყო. ზღაპრული გამოდგა ჩემი და გაბრიელა საბატინის ხუთსეტიანი გაჩდაგანაც ვირჯინია სლიმზის ფინალში. ცხადია, ყოველთვის გამორჩევით მემახსოვრება ის მატჩიც, რომელშიც შტეფი გრაფის ძლევამ კარიერის პირველი სლემტიტული მომაგებინა.

როცა ორწლიანი უქმობის შემდეგ კორტს დავუბრუნდი, პირველი მატჩი კიმ პოსთან გავმართე. ძალიან გამიჭირდა — დიდხანს უთამაშებელს ჩოგბურთიც შეცვლილი დამხვდა...

**— ჰამბურგულ ინციდენტამდე თქვენ ქალთა ჩოგბურთის „ბიწიერ ქალწულად“ მოგიხსენიებდნენ, „მისტიკურ გოგოდ“, რომელიც თავისი ჩოგნის ირგვლივ აბზრიალებდა სამყაროს. რამდენად ზუსტი იყო ეს შეფასებები?**

— მაშინ ერთბაშად რამდენიმე ამბავი დაემთხვა. 1991 წლის უიმბლდონს ბოლო მომენტში გამოვაკლდი, უეცრად მოძალებული ფეხის ტრავმის გამო. პრესამ ამისგან დიდი ალიაქოთი ატეხა და სწორედ მაშინ იყო, პირველად რომ ვიგრძენი მისი დამთრგუნველი ძალა. რას აღარ წერდნენ — ამბობდნენ, რომ მე ჩემი თავი ჩოგბურთზე დიდი ვინმე მეგონა, რომ სპარინგპარტნიორმა დამაორსულა და ასე შემდეგ. მოკლედ — დიდი ამბავი იყო...

მაშინ მოდა მხიბლავდა, თმებს ვიღებავდი, „ლამბორჯინით“ დავდიოდი... 16-17 წლის გოგო თამაშის მწვერვალზე ვიდექი და რასაც ვინატრებდი, ყველაფერი თავისით ჩნდებოდა. შეიძლება, რამე არც მნდომოდა, მაგრამ უბრალოდ დილიხორის გამო ვყიდულობდი. ყველაფერი არაჩვეულებრივად მიდიოდა. ერთადერთი ჩოგბურთელი, ვინც ვიცი, რომ ჩემს მერე ჩოგბურთს ასეთივე ფერადოვანი ცხოვრება შეუხამა, ანა კურნიკოვა იყო, თუმცა ის და მე სრულიად განსხვავებული ადამიანები ვართ...

პრესის კეთილგანწყობისთვის არასოდეს არაფერი გამიკეთებია. მაგრამ ვერ დავმალავ — ზოგჯერ მეც მიზიდავდა ბომონდური რამე-რუმეები. ერთხელ მილანში ვიყავით და როგორღაც წამომცდა, მოდების ჩვენებას დავესწრებოდი-მეთქი. ამის თქმაც ვერ მოვასწარი, არმანის მოწვევა გადმომცეს. ვიფიქრე: „აუუჰ, რა მაგარია!!“.

სიგიჟე იყო — ვიღაც უცნობს ხვდებოდი და ის უმალ ტელეფონის ნომერს გაძლევდა, გეფიცებოდა, რომ შენთვის ყველაფრის გამკეთებელია. ყველას უნდიხარ, ყველა შენსკენაა. განა ეს არ ასწორებს? როცა ბავშვი ხარ, ასწორებს და მერე როგორ.

ასე რომ, ხანდახან, როცა დავინანებ, რატომ „ნორმალური“ გოგო არ ვიყავი, ყველაფერი „ნორმალურად“ რომ მქონოდა-მეთქი, ჩემს თავს უმალვე ვახსენებ — გოგო, შენ მაშინ შეგეძლო, ნებისმიერ კონცერტს დასწრებოდი და ნებისმიერ მუსიკოსთან გევახშმა. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მონიკა სელეში იყავი.

**— რა როლს ასრულებს მუსიკა თქვენს ცხოვრებაში?**

— უდიდესს. მე მიყვარს მუსიკა, განსაკუთრებით „MOTOWN“-ის პროდუქცია — სოული, რიტმ-ენდ-ბლიუზი... ხმა რომ მქონოდა, აუცილებლად მომღერალი ვიქნებოდი.

**NHL სტენლის თასი. პირველი წრე**

**ოთხ მოგებამდე**



ფილადელფიელმა კრის ტერიენმა ტორონტოელი ტიმ ფიცჯერალდი ქანდარაზე შესვა

REUTERS

# შიშს ტორონტოს თვალები აქვს

## აღმოსავლეთი

### ფილადელფია 3:3 ტორონტო

**ტორონტო 2:1 ფილადელფია** *1:0 0:1 0:0 0:0 1:0*

**1:0 რაიხელი (10), 1:1 რენიკი (36), 2:1 გრინი (91)**

ეტყობა, მაქსიმალური რისკისა და საფრთხის შეგრძნება ტორონტოსთვის აუცილებელია: როგორც კი გავარდნის საშიშროებას თვალებში ჩახედავს და უკან დასახევი გზა მოეჭრება, უმალ გაყოჩაღდება ხოლმე. შარშანაც ასე იყო და არც წლეულს დაირღვა ტრადიცია. წინა შეხვედრებში მეტწილად ფილადელფია აკონტროლებდა სიტუაციას, ამჯერად კი „ნეკერჩხლებმა“ გარისკეს, მეტოქეს შემტევი, გახსნილი ჰოკეი შესთავაზეს და კიდეც იხეირეს. მეორე ოვერტაიმში ტრევის გრინი კარის სიახლოვეს ყველაზე სხარტი აღმოჩნდა და ყინულზე გაშოტილმა მეკარე რომან ჩეხმანეკმა თავისიანები ვერ იხსნა გოლისგან. ეს სერიაში მესამე თამაში გახლდათ, რომელსაც დამატებითი დრო დასჭირდა, თან საქმე მხოლოდ ერთმა ოვერტაიმმა როდი გადაწყვიტა. ამ თამაშში დამატებით დრო ყველაზე საინტერესოც გამოდგა. მეტოქეები გამუდმებით უტევდნენ და სახიფათო მომენტები ხან ერთ კართან იქმნებოდა, მეორესთან. ძირითად დროში კი გუნდებმა გოლები გაცვალეს. თან რობერტ რაიხელს კიდევ ერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ გამოცდილმა ტორონტოელმა ერთობ მარტივად შეასრულა ბულიტი. თუმცა ბოლოს მისთვის და ტორონტოსთვის ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. ახლა მეტოქეები გადამწყვეტ, მეშვიდე მატჩში დაეჯახებიან ერთმანეთს.

## დასავლეთი

### კოლორადო 3:3 მინესოტა

**მინესოტა 3:2 კოლორადო** *0:0 0:0 2:2 1:0*

**1:0 პარკი (42), 2:0 გაბორიკი (53), 2:1 საკიკი (57), 2:2 დევრიზი (59), 3:2 პარკი (65)**

კორეას შეუძლია იამაყოს. მის მიწაზე დაბადებულმა რიჩარდ პარკმა ორშაბათს მთელი ლიგა გააოგნა — კოლორადოსთან ოვერტაიმის მე-5 წუთზე ლიგაში ამ ერთადერთმა კორეელმა თავისი მეორე გოლი გაიტანა და სერია გააგრძელა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ამ წყვილს მეშვიდე მატჩი დასჭირდებოდა? „მოდით, ხვალამდე მოვიცადოთ, დღეს ნუ ვილაპარაკებთ შოკზე“ — თქვა მატჩის შემდეგ მინესოტას ბედნიერმა თავკაცმა ჟაკ ლემერმა.

ისე კოლორადოსაც, ტორონტოს დარად, ერთი რამ დასჩემდა, ოღონდ გაცილებით უსიამოვნო. სერიაში 3:1 ან 3:2 დაწინაურდება და ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ძალიან უჭირს. რაც „ეველანშს“ ემართება, მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს. ეს ბოლო მატჩებია, მხოლოდ მაშინ ფხიზლდება, როცა ვითარება კატასტროფულია. კოლორადოელებს ამჯერადაც დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, მატჩი ოვერტაიმში რომ გადაეყვანათ, მაგრამ... „დიდებული შეგრძნება მქონდა ოვერტაიმის წინ, ვფიქრობდი, რაკი გადავრჩით, აუცილებლად მოვიგებდით, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მოვიყვანეთ“ — აღიარა კოლორადოელთა თავკაცმა ტონი გრენატომ.

# პატრიოტს გრძელი ცხვირი უნდა ჰქონდეს

## ჩაყავი იქ, სადაც უნდა ჩაჰყო!



კრის ჩელიოსი

დეტროიტის სენსაციურმა მარცხმა მარტო ანაჰაიმი როდი გაახარა. მოგეხსენებათ, 26 აპრილს ფინეთში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ასეთი ძლიერი გუნდის გავარდნამ არაერთი ნაკრების თავკაცს გაუჩინა იმედი. მართალია, „წითელფრთიანთა“ მთავარმა ვარსკვლავებმა ფიასკოს შემდეგ შინ დარჩენა ინებეს, მაგრამ ფინეთში წამსვლელ დეტროიტელთა სია მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება.

კრის დრეიპერი, კირკ მოლტბი და მეტიუ დანდენო კანადის ნაკრებს შეუერთდებიან, პაველ დაციუკი რუსებს დაეხმარება, ნიკლას ზეტერბერგი — შვედეთს. აი, ბებერი კრის ჩელიოსის გადაწყვეტილებამ კი ყველა გააოგნა — ლიგაში ყველაზე უგრძესი ცხვირის პატრონმა, 41 წლის ბერძენმა შემადგენლობის თვალსაზრისით საკმაოდ სუსტი აშშ-ს ნაკრების გამაგრება მოისურვა. აღსანიშნავია, რომ ეს ჩელიოსის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება.

მსოფლიოს ჩემპიონატის თემას კვლავაც დავუბრუნდებით. ახლა კი დავასახელებთ რამდენიმე სახელგანთქმულ ჰოკეისტს, რომელთაც ფინეთში ვიხილავთ: ტეემუ სელიანე, საკუ კოივუ (ორივე ფინეთი), მარტინ სტრაკა (ჩეხეთი), ილია კოვალჩუკი (რუსეთი), დანი ჰიტლი, შონ ბურკი (კანადა), ზიგმუნდ პალფი, მიროსლავ შატანი (სლოვაკეთი).



# ლუტრაკული ამბები

## ქართველებს ტკივილი ძალღივით დასდევს

**საბერძნეთის** ქალაქ ლუტრაკში დასრულებულ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველ ძალოსნებს მოხშირებული ტრავმიანობის გამო მონაწილეობა არ მიუღიათ. მსოფლიოს ექსჩემპიონი გიორგი ასანიძე ჯერაც შარშანდელ, ვარშავის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მიღებულ ტრავმას იშუშებს. იმედია, 6 თვეში გასამართ ვანკუვერის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გიორგი ჯანზე იქნება და მხოლოდ ოლიმპიადისთვის საჭირო სალიცენზიო ქულებს არ დასჯერდება.

მის არყოფნაში კი 85 კგ წონაში გაილაღა ბულგარელმა ვანევმა. მან ვარშავაში მხოლოდ ნაკლები წონით აჯობა გიორგის, ლუტრაკში კი, რაკი ხეირიანი მეტოქე არ ჰყავდა, იოლად გაიმარჯვა (382,5 კგ). აკვრაში მეორედ მისვლისას მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესებაც სცადა, მაგრამ ამაოდ.

მეორე-მესამე ადგილები 380 და 370 კილოგრამით რუსებმა დაიკავეს — მიშკოვეცმა და ლიზუნოვმა. თუ გიორგი ფორმაში იქნება, ეს წონები მისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

წარუმატებლად გამოვიდა ჩვენი ბერძენი კახი კახიაშვილი. ატაცში გამოსვლისას მას ტრავმა გაუმიზეზდა და მეორე დისციპლინაში, აკვრაში, ბედი აღარ უცდია.



კახი კახიაშვილს წლეულს ევროპაში არ გაუმართლა



# ულრიხს საკუთარი თავი უხარია

**რომ იტყვიან,** გახურდა ველომრბოლთა წლის უმთავრესი მოვლენის — ტურ დე ფრანსისთვის მზადება. უპირველესი ფავორიტი, ტურის 4-გზის გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი თანდათან იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას.

„არაგონიის ტურში“ საკმაოდ მოკრძალებული გამოსვლის შემდეგ არმსტრონგმა 20 აპრილს ჰოლანდიაში, „ამსტელის ოქროს თასზე“ ირბოლა და 250-კილომეტრზე რბოლაში მე-8 ადგილზე გავიდა, 8 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ, ყაზახ ალექსანდრ ვინოკუროვს.

ძველი პოზიციების დაბრუნებას ცდილობს 1997 წლის ტურის გამარჯვებული, გერმანელი იან ულრიხიც. კვირას კიოლნის ირგვლივ გამართულ 202,3-კილომეტრიან რბოლაში ულრიხმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და გაიმარჯვა. 2001 წლიდან მას ერთი ეტაპიც არ მოეგო.

„ჯერ კიდევ ხდება სასწაულები. ძალიან მინდოდა, გერმანიაში კარგად დამეწყო, არადა ჩემს გამარჯვებას არავინ ელოდა. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ“ — სიხარულს ვერ ფარავდა გერმანელი.



ლენს არმსტრონგი



იან ულრიხი

შეგახსენებთ, ერთ დროს გერმანული ველორბოლის იმედად შერაცხული ულრიხი შარშან დოპინგ-სკანდალში გაეხვა, რის გამოც 6-თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, მანამდე კი ფეხი მოიტეხა და თითქმის ერთი წელი გაუცდა.

წლეულს, მარტში იან ულრიხმა დატოვა „დოიჩე ტელეკომი“ და „კოუსტში“ გადაბარგდა. ახალ გუნდში მისი პირველივე რბოლა წარმატებული გამოდგა. კიოლნში მან 1 წუთით და 52 წამით აჯობა „დოიჩე ტელეკომის“ ახალ ლიდერს, დანილო ჰონდოს და მის სანახავად ტრასაზე გასული მილიონამდე გულშემატკივარი და აგრეთვე საერთოდ ველოსამყარო კვლავ აალაპარაკა ტურ დე ფრანსში მის ფავორიტობაზე.

**შოთა ძოკალეიშვილი**







# ეს საქსონიის ტანია

**აინთება** თუ არა ლაიფციგში 2012 წლის ოლიმპიური ცეცხლი, ეგ ჯერ არავინ იცის, მაგრამ საქსონია რომ უკვე სოლრად ასპორტებული და ახურებულია, მაგას ლუდი არ გაუვა. არა გჯერათ? მაშ ამ ფოტოებს დააკვირდით. ფოტოებზე 19 წლის საქსონიელ ტანმოვარჯიშეს — ვინმე ტანიასა ჰხედავთ. ტანია იმ დღეს „პლეიბოელ“ ფოტოამქარს დანახვებია და ამით იმის თქმა სურს, რომ საქსონია ყველაფერთან ერთად მაგარი სექსონიაცაა.

ივარაუდება, რომ ამაში უშუალოდ დარწმუნების საშუალება მილეთს 2012 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა უნდა მისცეს. თუმცა ტანია ისეთი ქალი ჩანს, ვინძლო ცხრა წელი არც თავად მოცდეს და არც შენ გაცდევინოს.



REUTERS სევილიიდან

# სევილიის სურათები

სევილიაში მაესტრანსას ხართა არენაზე კორიდაა გახურებული. მატადორ ხოსე გონსალო კრესპოს ისე დაუბნევია საბრალო ხარი, რომ ყირაზე დაუყენებია. სხვა მატადორი, უსედა ლეალი კი თავად შექნილა საბრალო, რადგან, სწორედ მაშინ, როცა ხარის მოკვლა გადაუწყვეტია, თავად წამოგებია რქას.



REUTERS სევილიიდან

# ილეთი

ესეც ილეთი: ედმონტონელ მცველს მარკ-ანდრე ბერჟერონს იმგვარ ძალის ილეთზე წამოუგია დალასელი ბრენდენ მოროუ, რომ ყირა გაუჭიმინებია. ნჰლ-ის პლეი ოფში გუნდები თითქოს კიდევ უფრო მხეცდებიან.



REUTERS ედმონტონიდან

# ოჯახი ტრიბუნაზე

მონაკოში გასრულდა მონტე კარლოს საჩოგბურთო ტურნირი. ტრიბუნაზე კვლავაც იყვნენ იქაური სამეფო ოჯახის წევრები, პრინცესა სტეფანიას შვილები პაულინი და ლუისი თავიანთ მამასთან, დანიელ დუკრესთან ერთად. ეს დანიელი პრინცესას ყოფილი



REUTERS მონაკოდან



REUTERS იმოლიდან

# ცუდი ამბავი

შუმახერების მძიმე წუთები: კიოლნში რალფის და მიხაელის დედა გარდაიცვალა. კვირა დილით ძმები და რალფის მეუღლე კორა მაინც დაბრუნდნენ სან მარინოში და რბოლაში მიიღეს მონაწილეობა. მიხაელმა იმოლა მოიგო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აჩკვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარცხელია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ჩუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge